ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა!

კოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2017 წელი №23-24-25 (9421-23) 1-31 დეკემბერი ფასი 1 ლარი 20 თეთრი

მშვიდობის მეკვლედ დაგვებედე, წელო, ახალო!

„ზენების ძალავ, შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემ ხალხს, ჩემ სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი. დაამთე თვალი ყოველი მოშურნე მისი. საუკუნოდ დაგმანე ყური. მსურველი და მსმენელი მისი სისხლისა. გახმე ხელი მისი სიცოცხლის ხის მოჭრის სურვილად. დალოცე ავანი, კალთა და ძუძუ საქართველოისა. გაავსე სახლი ყოველი მშრომელისა მზითა და სითბოთი, ბეღელი — პურით, მარანი — ღვინით, ახორი — საქონლით, კერია — ფრინველით და გული — სათნოებით. ააჟრიამულე ეზო-კარი ყოველი ქართველისა ბალღებით, შვილთაშვილებით და მათი შვილებით. დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერებავ ჩვენს ქვეყანაში, არ მოუშალო გონიერი კაცი და მწყემსი საქართველოს. ნატვრის თვალი დაუდე ამ ახალი წლის ღამით სასთუმალს ყველა მშრომელს. რათა დილით ადგეს, ნახოს და მამულის უკვდავება ინატროს! მიიღე მამულო ჩემგან ეს ლოცვა!"

ნოდარ დუმბაძე

საყვარელო მეგობრებო!
მოგილოცავთ
დამდეგ შობა-ახალ წელს.
მინდა, თოვლის ბაბუამ
სურვილები აგისრულოთ
და გაგახაროთ.

ნანა ხვითარია
II კლასი
სკოლა „პელაგონი"

სენაკის მერის საახალწლო სურვილი- სენაკის გადაქცევა ევროპული სტილის მქონე, რეგიონის გამორჩეულ ქალაქად

სენაკს თავის პოტენციალით, იერ-სახით, ეკონომიკური მაჩვენებლებით, კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული ადგილი უჭირავს რეგიონში.
უნდა ითქვას, რომ მოსახლეობამ ნამდვილად გონივრული არჩევანი გააკეთა, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სენაკის მუნიციპალიტეტის მერად ახალგაზრდა, ნიჭიერი, ევროპული განათლების მქონე, პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდა პიროვნება ლევან კუპრეიშვილი აირჩია.

წინასაახალწლო დღეებში საკმაოდ დატვირთული დღის რეჟიმის მიუხედავად სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივი მედიის შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხა.

ბატონო ლევან, მკითხველისთვის უდაოდ საინტერესოა თქვენეული შეფასება, როგორი იყო სენაკი თქვენი მოსწავლეობის წლებში, როგორია ახლა?

უპირველესად მინდა გითხრათ, მე ძალიან ვამაყობ, რომ დამთავრებული მაქვს ჟიული შარტავას სახელობის მეორე საშუალო სკოლა. მყავდა ძალიან კარგი და პროფესიული ნიშნით გამორჩეული პედაგოგები. სკოლაში შევედი 1992 წელს და დავამთავრე 2003 წელს. გასული საუკუნის 90-იანი წლები ძალიან მძიმე პერიოდი იყო. უშუქობა, უწყლობა, მძაფრი პოლიტიკური კატაკლიზმები, გაკვეთილებს ლამპის შუქზე ვამზადებდი. უშუქობა არა მარტო სენაკის, არამედ მთელი რეგიონის პრობლემა იყო. მძიმე ეკონომიკურ ფონს დაერთო აფხაზეთიდან დევნილების ჩამოსვლა, ბევრი ოჯახი სენაკში დამკვიდრდა და დღესაც ჩვენს გვერდით ცხოვრობს.

სირთულეების მიუხედავად ვთვლი, რომ ბავშვობა და მოსწავლეობა მაინც გამორჩეული პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ყოველი დღე აღსავსეა სიახლეებით და უჩვეულო განცდებით.

განსხვავება ჩემი მოსწავლეობის პერიოდის სენაკსა და ამჟამინდელ სენაკს შორის ძალიან დიდია. ქალაქი განახლდა, კეთილმოეწყო ქუჩები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრზე ბევრია გასაკეთებელი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ახალი პროექტების განსახორციელებლად, რაზედაც მუშაობა უკვე დაწყებულია.

ბატონო ლევან, თქვენ მოსახლეობამ უდიდესი ნდობა გამოგიცხადათ, მაღალი პროცენტული მაჩვენებლით აგირჩიათ მუნიციპალიტეტის მერად, რა თქმა უნდა დამსახურებულად. თქვენი მრავალმხრივი საარჩევნო პროგრამიდან რას თვლით უპირველესად მოსაგვარებელად.

უპირველესად მიმაჩნია გაზიფიცირების საკითხი. ბუნებრივი აირი არის ზამთარში გათბობის იაფი საშუალება და მასზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველას. მე ჩემი მერობის პერიოდში ამ პრობლემას მთლიანად მოვაგვარებ, ვინაიდან მთავრობის მხრიდან მაქვს სრული მხარდაჭერა.

წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობას დავპირდი, რომ გაზიფიცირება დაიწყებოდა თეკლათში, ნოსირში, ახალსოფელში და ფაქტი სახეზე გვაქვს, ყველა ხედავს რომ ეს კეთდება სწრაფად და ხარისხიანად.

დაპროექტების პროცესშია სოფლების ძველი სენაკის, ზემო და ქვემო სორტის, გეჯეთის, მეორე ნოსირის, ნოქალაქევის გაზიფიცირების საკითხი. მე გადაწყვეტილი მაქვს საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ თითოეულ სანტიმეტრად დავიარო ქსელი, გავითვალისწინო თითოეული მოსახლის პრობლემა, რომ რამე გაუგებრობას არ ექნეს ადგილი.

ასევე სასიცოცხლო დანიშნულების მქონეა წყლის მიწოდება მოსახლეობისთვის. მომდევნო წელს კვლავაც გაგრძელდება სისტემის რეაბილიტაცია.

ბატონო ლევან, კიდევ რა მნიშვნელოვანი პროექტებია დაგეგმილი 2018 წელს?

მთავარ პრიორიტეტად რჩება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება. ქალაქში არის ბევრი გამორჩენილი ქუჩა, სადაც მოსაწყობია ასფალტბეტონის საფარი, რომელსაც ეტაპობრივად მოვაწესრიგებთ ოთხი წლის განმავლობაში. ჩამონათვალში გვაქვს სოფელი ნოსირი, დიდია მოთხოვნა სოფელ ფოცხოს გზის დასრულებაზე. რა თქმა, უნდა ყველაფერი ერთ წელიწადში ვერ მოგვარდება, ეტაპობრივად გაგრძელდება მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება.

დაგეგმილი გვაქვს თანამედროვე ლედ სანათების მოწყობა, რომელიც არის ეკონომიური და აქვს ხუთწლიანი გარანტია. ეს გაკეთდება რუსთაველის ქუჩაზე ყოფილი ჩაის ფაბრიკის წრიულიდან მენჯის დასაწყისამდე, აღმაშენებლის ქუჩამდე. ჭავჭავაძის ქუჩიდან ხორავას ქუჩამდე. ახალი ლედ განათება დამონტაჟდება კოსტავასა და ნინოშვილის ქუჩებზეც.

დიდი სურვილი მაქვს ახალი ლედ განათება გავაკეთო ჭყონდიდელის ქუჩიდან მდ. ტარჩელამდე. ეს იქნება 17 კმ-იანი მონაკვეთი 490 ბოძით მარტვილის საზღვრამდე. ჯერჯერობით ამ პროექტთან დაკავშირებით საბოლოო პასუხი არ მაქვს მიღებული. 2018 წელს გაგრძელდება ნოქალაქევის ისტორიული კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტები. დარწმუნებული ვარ მომავალი წლიდან ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრის შენობის სრულ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას, ის მომავალ წელს დასრულდება. აუცილებლად უნდა გამოსწორდეს სპექტაკლებზე დასწრების კულტურა, რომელიც ყოველთვის ჰქონდათ სენაკელებს. მეტი მუშაობაა საჭირო იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა იარონ თეატრში. ჩვენ გვაქვს აგრეთვე დიდი ისტორიის მქონე მუსიკალური სკოლა, რომელმაც არაერთი მოზარდი აზიარა მუსიკის მადლს. როგორც მითხრეს, ტრადიციად არის ქცეული არტ აკადემიის რექტორის ვ. შიუკაშვილის ინიციატივით რეგიონალური ფესტივალის ჩატარება. 2018 წელს სკოლას 95 წელი წელი უსრულდება. გადაწყვეტილი გვაქვს ეს იუბილე ახლადრეაბილიტირებულ თეატრის შენობაში ჩავატაროთ.

მოგეხსენებათ პერიფერიების ძირითადი პრობლემა არის ახალგაზრდობის გადინება დიდ ქალაქებში, თქვენ როგორ თვლით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ახალგაზრდობა დასაქმდეს ჩვენს მუნიციპალიტეტში?

სიმართლე გითხრათ მე ახალგაზრდების მხრიდან ველოდი მეტ აქტივობას, ინიციატივებს, სამწუხაროდ ამ გადასახედიდან, ჯერჯერობით რატომღაც პასიურობას ვამჩნევ. ვიმედოვნებ, რომ როდესაც ვაკანსიები გამოცხადდება, ბევრი გამოთქვამს თანამშრომლობის სურვილს. მე უპირატესობას ვანიჭებ მცოდნე, ინიციატივიან, პროფესიონალიზმით გამორჩეულ კადრებს.

ბატონო ლევან, კოლხი კაცი ტრადიციების უდიდესი თაყვანისმცემელია, როგორია თქვენი დამოკიდებულება საახალწლო რიტუალებისადმი (მეკვლე, საახალწლო ატრიბუტები)

დიდი სურვილი მქონდა შემეცვალა ნაძვის ხე, მაგრამ ეს ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, საჭიროდ არ ჩავთვალე ბიუჯეტიდან ნაძვის ხის შესაძენად დიდი თანხის გახარჯვა, მაგრამ 31 დეკემბერს სენაკელებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს სენაკის მერია ჰპირდება დაუვიწყარ ზეიმს - საახალწლო კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოწვეული პროფესიონალი მომღერლები, მსახიობები.

ჩვენი წინაპრების მიერ შემონახულ საახალწლო ტრადიციებს პატივს ვცემ, მეკვლის ფენომენიც კარგად მაქვს გათავისებული. მაგრამ მჯერა, რომ ხვავის, ბარაქის, კეთილდღეობის დაბედებას პირველ რიგში შრომისმოყვარეობა, მონდომება, მტკიცე ნებისყოფა განსაზღვრავს და არა კარგი ან ცუდი „ფეხის" მქონე მეკვლე.

რა არის თქვენი საახალწლო სურვილი, რომლის ახდენას ინატრებდით?

ჩემი საახალწლო სურვილია ჩემი ოჯახის წევრების, მშობლების, ახლობლების, მეგობრების კარგად ყოფნა, სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობა, სენაკის გადაქცევა თანამედროვე ევროპული სტილის მქონე, ცივილიზებულ და რეგიონის გამორჩეულ ქალაქად.

P.S. გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ბატონ ლევან კუპრეიშვილს დამდეგ 2018 წელს, უსურვებს ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და წარმატებულ მოღვაწეობას მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

მედეა ბაღათურია

სენაკი 2017 ფოტოკოლაჟი

განცხადება

შპს „საქწიგნს" გამოცხადებული აქვს ელექტრონული აუქციონი მის საწესდებო კაპიტალში რიცხული წიგნის მაღაზიის იჯარის გაცემის შესახებ.

აუქციონი მიმდინარეობს 21.12.2017 17 სათიდან 28.12. 2017 წლის 15 საათამდე.

ობიექტი მდებარეობს სენაკში, გოგოლაძის №1

აუქციონი ტარდება სამ ლოტად:

აუქციონის პირობები იხილეთ ეაუცტიონ.გე-ზე ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ 593308003, 593352117

მადლობა

ახლახან პირადი საქმის გამო მომიხდა რაიონის პოლიციის უფროსთან ბატონ ირაკლი ფაცაციასთან შეხვედრა. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების მაღალი გრძნობის გამოსახატავად. მოხიბლული ვარ მასთან დიალოგით. უპირველესად მისი მოყვასისადმი ერთგულებით, გულწრფელობით, წინდახედულებით, უფლის მიერ უხვად მინიჭებული გულისხმიერებით, განსჯისა და მიტევების უნარით.

„შვილის ლამაზად გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადაო"

მადლობა მას, ეღვაწოს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, დღეგრძელყოს უფალმა.

მზია გადელია,
ეროვნული მოძრაობის ლიდერი

ხსოვნა

ნიაზ გაბესკირია



სიყვარულით სავსე გულმა გიღალატა შუა გზაზე. დაგრჩა აუხდენელი ოცნებები. უკვე 40 დღე ჩამოიმარცვლა იმ ავბედითი დღიდან(15 ნოემბერი), როცა წუთისოფელი დატოვე ჩუმად, უსიტყვოდ და ზეციურ სასუფეველში გადასახლდი. ძალიან ძნელია უშენობა ძვირფასო. რა უცებ დააკლდი ოჯახს, როგორ წამიერად დაიფერფლა შენი ღვთით ბოძებული სიცოცხლე. როგორ გვენატრები, დავდივართ შენზე მოგონებებით და ძვირფასი ანდერძივით დაგვაქვს შენი სიკეთე, ვაჟკაცობა, მოყვასის სიყვარული. გვეამაყები ჩემო ნიაზ! შენ ცხოვრების გზა ღირსეულად განვლე. იყავი სპორტსმენი. დიდი წვლილი შეიტანე ფეხბურთის განვითარებაში. გჯეროდეს, არასდროს განელდება შენგან დატოვებული სითბო და სიყვარული. ამიტომ დაგიტირეს მთელი გულით სენაკელებმა.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო თითოეულ სენაკელს, მეგობრებს, საძმოს, მეზობლებს, აფხაზეთიდან დევნილებს, სანათესაოს, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის დიდი გულისტკივილი და თანადგომა გამოხატა. მწამს, ნიაზ გაბესკირიას სახელიც არასდროს დაავიწყდებათ, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ვაჟკაცი ამაღლებული მრწამსით, კეთილი საქმეებით, სიყვარულითა და პიროვნული ხიბლით ყოველთვის მოგიხსენიებენ.

შენც შეუერთდი ძვირფასო შენს დედმამიშვილებს, რომლებიც უსაზღვროდ გიყვარდა. დიახ, წაიღე დიდი სევდა და მონატრება სოხუმში დაბრუნებისა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება ნიაზ. შენ მუდამ იცოცხლებ შენი შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების გულში, რადგან იყავი შესანიშნავი მამა, ბაბუა, დიდი ბაბუა, საიმედო მეგობარი და მეუღლე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული და იმიერში დაგიმკვიდროს ზეციური სასუფეველი.

ოჯახი

იწოლდა ჩვამანია

22 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. ამაღლებული განწყობილებით ხვდებოდი ამ თარიღს.

გემოვნებით ჩაცმული, ხალისიანი, პეწიანი სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდი ახალგაზრდულ იერს. ხარობდი დისშვილების, ძმისშვილების, მათი ოჯახების წარმატებით. კეთილი, უდალატო გული გქონდა. დაკისრებულ საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდი, ფეხზე ადგომით ხვდებოდი რედაქციაში შემოსულ ყოველ პიროვნებას ასაკის, და რანგის მიუხედავად.

ძალიან გვაკლიხარ, გვაკლია შენი გულისხმიერება და სიკეთე.

ნათელში იყავ!

„კოლხეთელები"

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო სართანია
რედაქტორი: მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ.ფოთში შპს „ირიდა„-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

2018 – მუნიციპალიტეტისათვის სასიკეთო სიახლეების წელი იქნება

ძვირფასო სენაკელებო, ჩვენს ქალაქში მცხოვრებო აფხაზეთის მკვიდრნო, ემიგრანტო თანამემამულეებო, მინდა ყველას მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი,გისურვოთ მშვიდობიანი,წარმატებული,სიყვარულით და სიხარულით აღსავსე წელიწადი.

ახალი წლის მიჯნა ის პერიოდია, როცა აანალიზებ, თუ რა არის უკეთესისკენ შესაცვლელი, რა უნდა განხორციელდეს სამომავლოდ. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, რაც თვისობრივად გააუმჯობესებს სენაკის იერსახეს, რეალობად აქცევს ჩვენს საერთო მიზნებს.

2018 წელი სენაკის მუნიციპლიტეტისთვის სასიკეთო სიახლეების წელი გახდება. მაქვს იმედი, რომ ერთობლივი შრომით, თქვენი თანადგომით საფუძველი ჩაეყრება მუნიციპალიტეტის ყოველმხრივ განვითარებას, რაც თითოეულმა სენაკელმა მაქსიმალურად უნდა გაითავისოს, რადგან მნიშვნელოვანი საქმის კეთება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

ბედნიერების, სიხარულის, ერთობის, გამარჯვებების წელიწადი შემოსულიყოს ჩვენი ქვეყნისა და თითოეული თქვენთაგანისთვის!

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

პასუხისმგებლობისა და სერიოზული გამოწვევების წელი

ძვირფასო სენაკელებო, სენაკში მცხოვრებო იძულებით გადაადგილებულო თანაქალაქელებო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, დიდი სიყვარულითა და კეთილი სურვილებით გილოცავთ დამდეგ შობა–ახალწელს. 2018 წელს სიხარული, ბედნიერება, მატერიალური კეთილდღეობა, ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

2017 წელი იყო დიდი პასუხისმგებლობისა და სერიოზული გამოწვევების წელი, ქვეყანას ჰქონდა წარმატებები, რომლის პარალელურად არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა სენაკის მუნიციპალიტეტში, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. ურთიერთმხარდაჭერით, ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით კვლავ უამრავ წარმატებას მივაღწევთ. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ერთმანეთის თანადგომით და სიყვარულით შევძლებთ ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების კეთებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მოსახლეობასთან ერთად იზრუნებს ჩვენი ქალაქის განვითარებაზე. უფალი იყოს ჩვენი და მთლიანად საქართველოს მფარველი.

კახაბერ რუსია,
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

საუკეთესო სურვილებით

ძველი და ახალი წლის გზაგასაყართან მიდწეულის შეფასება და მისაღწევის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია ყოველი ადამიანისათვის რა რანგის, პროფესიის და წარმომავლობის არ უნდა იყოს ის.

2017 წელი სენაკის მუნიციპალიტეტისათვის იყო წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების მხრივ. მჯერა 2018-ში უფრო მეტად განვითარდება აღმშენებლობისა და ეკონომიკური აღმავლობის პროცესი.

მინდა სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ჩემს სენაკელებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ინტელიგენციას, დევნილებს, პენსიონერებს, სოფლის მცხოვრებლებს,ბიზნესსა და კერძო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს,მშენებლებს, საჯარო მოსამსახურეებს, სასულიერო პირებს, ბავშვებს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი, ვუსურვო მშვიდობა, ქვეყნის გამთლიანება, დღეგრძელობა, ურთიერთპატივისცემა, სიხარული, ხვავი და ბარაქა.

უფალი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!
უღრმესი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით

დემურ გადელია

გისურვებთ მედნიერ და წარმატებულ 2018 წელს!

ჩვენს მომავალ თაობას - პატარებსა და ახალგაზრდებს, მათ მშობლებს, უფროსი თაობის ადამიანებს, პენსიონერებს, განათლების, კულტურის, სამედიცინო და სოციალური, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, მედიის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, ტურიზმის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ბიზნესის სფეროების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ვეტერანებს, სპორტსმენებს, მონადირეებს, სასულიერო პირებს, თავდაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების, პოლიციისა და სამაშველო სამსახურების, ადგილობივი თვითმმართველობის სტრუქტურების თანამშრომლებს,სენაკსა და აბაშაში განსახლებულ აფხაზეთის შვილებს, საქართველოს ერთიანობისთვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და საერთაშორისო მისიებში დაღუპული გმირების ოჯახებს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანაქალაქელებს, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ თითოეულ სენაკელსა და აბაშელს გილოცავთ 2018 წლის შემობრძანებას!

გისურვებთ,ეს წელი ყოფილიყოს ეკონომიკური აღმავლობის,კეთილდღეობის და უფრო მეტი,ახალი შესაძლებლობების წელი თითოეული თქვენგანისთვის და ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის.

2017 წელს საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ვაღრმავებთ თანამშრომლობას პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ვავითარებთ ეკონომიკას, ვიზიდავთ მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას და ტურისტს. ვზრდით სატრანზიტო პოტენციალს და თავდაცვისუნარიანობას. ვაღწევთ წარმატებებს კულტურასა და სპორტში. იზრდება ჩვენი ქვეყნის ცნობადობა. კიდევ უფრო ვუახლოვდებით ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეს. ევროკავშირთან ავამოქმედეთ უვიზო მიმოსვლა, რითაც უკვე სარგებლობს ბევრი სენაკელი და აბაშელი. ქმედითი ნაბიჯები გადავდგით ჩვენი მუნიციპალიტეტების განვითარების მიმართულებით. გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის, გაზმომარაგების, ქალაქების იერსახის გაუმჯობესების, ისტორიული ძეგლების სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები, პროექტები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში. სენაკელი მოსწავლეები გაიცნეს ამერიკის კოსმოსურ სააგენტოში. როგორც სენაკს, ასევე აბაშას ჰყავს ახალი მერი და საკრებულო.

დარწმუნებული ვარ, 2018 წელი ბევრად დინამიური და წარმატებული იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, საინვესტიციო, სასოფლო-სამეურნეო და ტურისტული პოტენციალის რეალიზების,ჩვენი კუთხის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების თვალსაზრისით,ასევე,მოსახლეობის ჯანმრთელობის,სოციალური მდგომარების და ზოგადად ცხოვრების დონის გაუმჯობესების კუთხით. 2018 წელი იქნება არაერთი ამბიციური და მასშტაბური პროექტის, სასიამოვნო სიახლის, მნიშვნელოვანი ცვლილებების წელი, თითოეული სენაკელის და აბაშელის წელი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ხვავს და ბარაქას! გისურვებთ ბედნიერ და წარმატებულ 2018 წელს!

სენაკის მუნიციპალიტეტისა და აბაშის მუნიციპალიტეტის (ფყემის, ნორიოს, ზანათის) თემების მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტის წევრი
ირაკლი ბერაია,

სიხარულად და სიყვარულად

პატარას დაბადება უდიდესი ბედნიერებაა, ეს ბედნიერება ორმაგდება, თუ ერთდროულად ერთი კი არა, ორი ახალშობილი ჩნდება ოჯახში.

9 თვის წინ სიხარულად და სიყვარულად მოევლინნენ ამქვეყნიურ სამყაროს ანასტასია და ანამარია. მათ თავიანთი მობრძანებით უდიდესი სიხარული მოჰგვარეს მშობლებს მაია იმდეიშვილსა და მერაბ ძაგანიას, ახლობლებს. განსაკუთრებით გაიხარეს უფროსმა დებმა მარიამმა და მეგიმ, რომლებიც თავს დაჰფოფინებენ პატარებს და ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ ოჯახის ნებიერა ასულებს.

„კოლხეთის" რედაქცია მშობლებთან ერთად ულოცავს ანასტასია და ანამარია ძაგანიებს დამდეგ შობა-ახალ წელს, უსურვებს ბედნიერ ბავშვობას და საუკეთესო მომავალს.

მ. ჭუბაბრია

სტუმრად მუზეუმში

საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე გარემოს დაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეა"-ს (თავმჯდომარე თამარ მალანია) პროექტ „მწვანე რეგიონები"-ს ფარგლებში, სენაკის ჟიული შარტავასა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს სტუმრობდნენ მარტვილელი ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში მიმდინარე „ენერგოეფექტურობის გზით ცვლილებების ადაპტაციისა და შერბილების ღონისძიებების პოპულარიზაციისათვის" პროექტში მონაწილე საჯარო სკოლების უფროსკლასელები, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის გამოყენებითი ხელოვნების, ეკოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის წრის პედაგოგები ქალბატონები: ამალია ჭილაია, ასმათ ხურცილავა და თათია წულაია.

მუზეუმების საგამოფენო დარბაზებში მათ მეგზურობას უწევდნენ ქალბატონები გრიალა ანთია და ნანა ფირცხალავა.

სტუმრებმა მუზეუმებში მიღებული ემოციები დააფიქსირეს შთაბეჭდილებათა წიგნში, მრავლად გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

***

აჭარის მკვიდრთ, კერძოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავში მცხოვრებ ანანიძეების გვარის წარმომადგენელთ, 2015 წელს გადაუწყვეტიათ წელიწადში ორჯერ მოეწყოთ ტური საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სამოგზაუროდ. ეს მისაბაძი ტრადიციაა საკუთარი ქვეყნის შესაცნობად, იქნებ მაგალითად გამოდგეს სხვებისათვისაც

17 დეკემბერს ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა მასპინძლობა გაუწია სტუმრებს ანანიძეების გვარის წარმომადგენლებს

მარინე აბრამია

ჩინეთში მიღებული შთაბეჭდილებები

სექტემბერ- ნოემბრის თვეში სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლევან სირია სასწავლო შვებულებით იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ლევანს დამთავრებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერ-ტექნოლოგიის ფაკულტეტი გადამამუშავებელი მრეწველობის ტექნოლოგიების სპეციალობით. მისი სადიპლომო ნაშრომი იყო შავი ბაიხის ჩაის ტექნოლოგია.

ლევანი გვესაუბრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტზე და გაგვიზიარა იქ მიღებული შთაბეჭდილებები.

„2017 სექტემბერ- ნოემბრის თვეში ჩინეთის რესპუბლიკამ განახორციელა სასწავლო პროგრამა ჩაის პროდუქტების მწარმოებელი ტექნოლოგიები განვითარებადი ქვეყნებისათვის. ეს იყო თვენახევრიანი ტრენინგ-სემინარი 12 ქვეყნიდან მოწვეული სპეციალისტებისათვის. პროგრამა მთლიანად დააფინანსა ჩინეთის რესპუბლიკის საელჩომ. საქართველოდან წარმოდგენილი ვიყავით 7 ადამიანი. მე წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი შვიკაციან ჯგუფში და წარმომედგინა ჩემი მშობლიური ქალაქი სენაკი და მისი შესაძლებლობები ჩაის ინდუსტრიაში.

2017 წლის მაისის თვეში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გაიმართა ღონისძიება, საპარტნიორო ფონდსა და ჩინურ კომპანია „ უალინგ-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჩაის წარმოების განვითარებისა და სპეციალისტების გადამზადების კუთხით. კომპანია „ლაზის" დამფუძნებლის ბატონ გონერ სალიას მოწვევით ვიმყოფებოდი სამდღიან სემინარზე. კომპანიები „ლაზი" და უალინგი უკვე მრავალი წელია აწარმოებენ სხვადასხვა სახეობის მაღალი ხარისხის ჩაის. ივლისის თვეში კომპანია „ უალინგ-ს რეკომენდაციის შედეგად მივიღე მოწვევა ჩინეთის საელჩოდან, რომ მიმეღო მონაწილეობა ზემო აღნიშნულ ტრენინგ-სემინარში.

27 სექტემბერს გავემგზავრეთ ჩინეთის რესპუბლიკაში, კერძოდ ქალაქ ძჰანგზჰოუ-ში. (ჯანგჟოუ). დაგვაბინავეს ჩაის კოლეჯის საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელში. აღნიშნულ კოლეჯში ჩაგვიტარდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებები. ხოლო პრაქტიკას გავდიოდით ჩაის პლანტაციებში, ჩაის ფაბრიკებში. ლექციებს გვიკითხავდნენ ჩინეთის რესპუბლიკის წამყვანი პროფესორ –მასწავლებლებლები.

აღფრთოვანებული დავრჩი, როცა იდეალურად მოვლილი ჩაის პლანტაციები ვნახე, რაც აშკარად მეტყველებს ჩინელი ხალხის შრომისმოყვარეობაზე. საერთოდ ჩაის კულტურა ჩინეთში წინა პლანზეა წამოწეული.

დელეგაციის წევრები ექსკურსიით ვიმყოფებობით ჩინეთის რამოდენინე სამრეწველო ქალაქში, ზუსტად ზედმიწევნით გაწერილი იყო მარშუტი, გვასწავლიდნენ აგრო ტურიზმის დაგეგმარებას. ქალაქებში აბსოლუტურად ყველა პირობაა შექმნილი ყველა სეგმენტის ტურისტისთვის, განვითარებულია ჩაის ტურიზმი. ტურისტების ნაკადი არ წყდება სადემონსტრაციო ნაკვეთებში, ულამაზესია ჩიას ბუჩქები, მუზეუმადაა ქცეული იქაურობა, კარგი იქნება მსგავსი სატურისტო ცენტრი ჩვენთანაც შეიქმნას. გარდა ჩაის წარმოებისა, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია არის, მებაღეობა. მე ვნახე როგორ ეფერებიან ჩინელები თითოეულ ხეს, მის ნაყოფს, ყველანაირი ხილის ნაყოფი გამოყენებადია, ქმნიან უგემრიელეს ნატურალურ პროდუქტებს ჩაის ექსტრატით... ჩვენ ნამდვილად გვაქვს ფუფუნება მეხილეობის კუთხით.ჩვენი ხილი გამოირჩევა საგემოვნო თვისებებით და ვიტამინების მდიდარი მარაგითაც.

სემინარი იმითაც იყო საინტერესო, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ჩაის მწარმოებელი ქვეყნების კომპანიის თანამშრომლები დაინტერესდნენ ქართულ ჩაით და მზაობას გამოთქვამენ ჩვენთან სათანამშრომლოდ.

ძალიან მომეწონა, რომ ჩინელებმა იციან დროის რაციონალური გამოყენება, ქართველებს მოგეხსენებათ ყველგან გვაგვიანდება, იქ თავიდანვე გვითხრეს დროს ვცეთ პატივი და ყველანი აუდიტორიაში შევიკრიბოთ თავის დროზე. რასაც სხვათაშორის ევროპელები ზედმიწევნით იცავდნენ.

კომპანია „ლაზს" ძალიან ბევრი გეგმა აქვს ჩაის წარმოების განვითარების კუთხით. გაზაფხულიდან ხონის მუნიციპალიტეტში იწყებენ მასშტაბურ ღონისძიებებს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით, უკვე მოლაპარაკებები და იმედია დადებითად გადაწყდება. ჩემი ოცნებაა ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ჩამოვიდნენ, გაიცნონ სოფლები და იქ არსებული პოტენციალი. მე მჯერა და ღრმად ვარ დარწმუნებული რომ ერთად დგომით, ჩინელი ხალხის გამოცდილების გაზიარებით მრავალი კარგი პროექტი განხორციელდება და ქართული ჩაის წარმოება აღსდგება და გაძლიერდება.

მადლობა მინდა გადაგიხადოთ მოწვევისათვის, ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს სენაკელებს, სრულიად საქართველოს მივულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს".

ნ.შონია

ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და ასოციაცია „ათინათი" სენაკის მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის", რომელიც დაფინანსებულია გაეროს განვითარების პროგრამის „გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში. პროექტი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ქალთა თანასწორობას, მათ ეკონომიკურ და სამოქალაქო გააქტიურებას, სოფლებში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. ამ მიზნით 2013 წლიდან ახალისოფლისა და ნოქალაქევის თემებში ფუნქციონირებს ქალთა საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ სოფლის პრობლემატური საკითხების მოგვარებაზე.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა სოფლებში მნიშვნელოვანი პრობლემის გამოსავლენად ჩაატარეს მოკვლევითი სამუშაოები, მათ მიერ გამოვლინდა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები.

ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: საპირფარეშოს, სკვერისა , სტადიონის მოწყობა.

ქალთა საინიციატივო ჯგუფებმა, გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით, მოამზადეს პრეზენტაციები, რომელიც შეხვედრაზე წარმოადგინეს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, პროექტის ფარგლებში გამოვლენილი სოფლის მწვავე პრობლემების მოგვარებისთვის, 2018 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გათვალისწინება სთხოვეს.

შეხვედრას ესწრებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, საინიციატივო ჯგუფის წევრებს გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა.

მ. ბერგაია

წლის ადამიანები

სენაკის საპატიო მოქალაქეები

24 სექტემბერს, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე, ქუჯის ისტორიულ ციხე-ქალაქში გამართულ „ეგრისობის" სახალხო დღესასწაულზე სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორს, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსისა და სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაციის ინიციატორს –ნიკოლოზ ანთიძეს, ღირსეულ სენაკელებს: ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანს, ანზორ ცაგურიას, თამაზ საჯაიას, ლერი კართხიას. სენაკზე მზრუნველის ტიტული მიენიჭათ: დემურ ფაცურიას, ლეილა ჭანტურიას, ხანა მაზრაშვილს, და ლონდიკო ფირცხალავას. რა გრძნობა დაეუფლათ მათ ამ ტიტულის მინიჭებისას, გკითხულობთ რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილებში.

ნიკოლოზ ანთიძე

ემსახურო შენს ქვეყანას - ამ სიტყვების შინაარსი, ყველა მოქალაქისთვის დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, განუზომელ ბედნიერებასაც ნიშნავს. იდგე შენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადარაჯოზე, ბედისგან ბოძებული კიდევ სხვა პატივია, რომელიც ჩვენგან უზარმაზარ შრომას და ენერგიას მოითხოვს. სხვაგვარად შენ წილ პასუხისმგებლობას ვერ გაამართლებ. მარცხი გარდაუვალი იქნება. ისტორიული მემკვიდრეობის სამსახურში კი, გამარჯვებებს მაშინ მოიპოვებ, როდესაც ხვდები, რომ მიღწეული შედეგით, თაობების დანატოვარს ახალ თაობებს ღირსეული სახით გადასცემ.

ასეთივე გამარჯვების ტოლფასია ცოტა ხნის წინ მონიჭებული ქ. სენაკის საპატიო მოქალაქეობაც. უდიდესი კულტურული ტრადიციების მატარებელი ქალაქის, რომელიც დღემდე რჩება თანამედროვე კულტურული ცხოვრებიც ავანგარდში.

მონიჭებული წოდება ჩემთან ერთად, ვფიქრობ, აღიარებაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იმ ძალისხმევისა, რასაც მისი თვითოეული თანამშრომელი ნაყოფიერად ეწევა წლების განმავლობაში. ძალისხმევის, რომელიც მიმართულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობისა და დაცვის კეთილშობილი მისიისკენ. ეს ტიტული დაფასებაა იმ შრომისა, რაც უკანასკნელ დროში ა. ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის, ნოქალაქევის ნაქალაქარის, ნოსირის ანტიკური ხანის აბანოების, კვაუთის, სორტას, შხეფისა და კორტანეთის ციხეების მასშტაბური რეაბილიტაციის, კონსერვაციისა და არქეოლოგიური კვლევის პროცესებში აისახა.

მსურს დავარწმუნო სენაკისა და მისი მუნიციპალიტეტის თვითოეული მოქალაქე, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ფართო ფრონტი, რომელიც სახელმწიფოს სამეგრელოსა და მთელი ქვეყნის არეალში აქვს გაშლილი, სამომავლოდ კიდევ უფრო გაფართოვდება და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კიდევ მეტ ობიექტს მოიცავს, რომ მათდამი გამოხატული სათანადო ყურადღება, სულ მალე კონკრეტული სიკეთეების მომტანი გახდება.

მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი! მრავალ სიკეთესთან, ბედნიერებასთან და სიხარულთან ერთად, მსურს ჩემს თანამოქალაქეებს გისურვოთ მშვიდობიანი და ძლიერი სამშობლო! ქვეყანა, სადაც თქვენი კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნება. სადაც კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ჩვენი ეროვნული იდენტობის პირველი ნიშანსვეტი, თქვენივე უშუალო თანამონაწილეობითა და ზრუნვით იქნება დაცული.

ლერი კართხია

2017 წლის სექტემბერში სახალხო ზეიმ „ეგრისობაზე" „სენაკის საპატიო მოქალაქის" ტიტულის მონიჭებამ ჩემში უდიდესი სიხარული და ამავდროულად დიდი პატივისცემა და პასუხისმგებლობა გამოიწვია ჩემი ხალხისა და ჩემი სენაკის მიმართ.

მე ვაცნობიერებ ამ პასუხისმგებლობას და უფრო შემართებით, დიდი მონდომებით გავირჯები სენაკისა და საერთოდ ჩემი ქვეყნიათვის.

ვუსურვებ ჩემს ქვეყანას გამთლიანებას და გაძლიერებას.

საქართველოში მცხოვრებ ყველა ქართველს და სხვა ეროვნების ადამიანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიუხვეს, მათ სახეებზე გაუქრობელ ღიმილს და უდიდეს სიხარულს.

გილოცავთ ახალ 2018 წლის შემობრძანებას, ღმერთი იყოს საქართველოს და მისი ხალხის მფარველი

ლიანა ჯიქია- გოგრიჭიანი

ადამიანი, უფლის მიერ შექმნილ ცოცხალ არსებათა რკალში გამორჩეულად და ზენიტში ჰყავს უფალს მონიშნული. აი, ამ პატარა მონახაზიდან თუ დავიწყებთ შედარებას, სენაკი ჩემთვის მსოფლიოს ზენიტია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ყოველი, რაც ჩემთან კავშირშია: სამშობლო, ერი, ენა, სარწმუნოება, ქმედება,, პიროვნება, კეთილი თუ სხვა. მართალია1976 წელს, მე „წავედი" სენაკიდან, მაგრამ სენაკი არასდროს დამიტოვებია. ყველაზე ძლიერი გრძნობა რაც გამაჩნდა დაკავშირებულია სენაკთან. მიყვარს სენაკი იმიტომ, რომ ის ჩემი დედ-მამის და მათი წინაპრების ფესვებს ინახავს. მიყვარს სენაკი იმიტომ რომ მე ვარ მისი ნაწილი და ის არის ჩემი პიროვნულად ჩამოყალიბების აკვანი. ჩემო სენაკო, რაც კარგი, საამაყო და ნათელი გამიკეთებია სულ შენ გეკუთვნის, მისხალ-მისხალ შეგიძლია მიითვალო. შენ გაქვს ჩემს გულში პატარა, მაგრამ მუდმივი ბინა. 19 წლისას ქალაქ რაკვერეს საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭეს. ეხლა რომ ვფიქრობ, მაშინ მისი მნიშვნელობა დიდი პატივი იყო და მესმოდა, მაგრამ ის სიღრმე და პატივი სხვა იყო... 2005 წლიდან. ყოველ წელს, ლონდონის დედოფლის რაიონის მერი Royal Borough Kensington ad Chelsea- მერი მეპატიჟება ვიწრო წრისთვის არსებულ წვეულებაზე და გადმომცემს 'Make a Difference Awards ' და მიუხედავად ამ დიდი პატივისა ჩემი ქალაქის საპატიო მოქალაქეობის ტიტული ვერაფერს შედრება. იყო დაფასებული შენს ქალაქში და იყო ღირსეულთა შორის ეს უდიდესი პატივია ადამიანისთვის. ეს მე ვარ, პატარა სენაკი მსოფლიოს წინაშე შენით ფრთაშესხმული. იდიდე ჩემო თვალისჩინო.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავცე ქალაქის მთავრობას, განსაკუთრებით ბატონ გოჩა დგებუაძეს. ნამდვილად საჭიროა ვისწავლოთ ერთმანეთის მოფეღება, დაფასება, გაცნობა. მადლობელი ვარ რომ „კოლხეთმა" მომცა ეს შესაძლებლობა რომ მოგესიყვარულოთ შორიდან. რამოდენა ძალა აქვს სითბოს, მოკრძალებას, სიყვარულს, პატივისცემას, ურთიერთ დაფასებას. მას ასე დიდი გზიდანაც კი შეუძლია გაგვათბოს. იმედია ეს წამოწყება გაგრძელდება. ჩვენ ხომ ერთმანეთით ვძლიერობთ და გავაგრძელოთ ეგ ლამაზი ტრადიცია.

ჩემო უძვირფასესო და უსაყვარლესო სენაკო. შენი მრავალჟამიერი. ამინ! საშობაო სურვილები ჩემს ძვირფას სენაკელებს: "უფალო ყოვლისშემძლევ, გავედრებ შენ ჩემს მრავალჯერ ნატანჯ სამშობლოს, ჩემს ქართველობას, სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ჩემს ლტოლვილებს, თავის მიწიდან. აყრილებს და თავის სამშობლოში გერებად მიღებულებს, ჩემს სენაკს, რომელმაც შეისისხლხორცა ისინი, უფალო შეუნდე მათ ცოდვანი მათი და დაიფარე ყოველგვარი გასაჭირისგან. უფალო, გთხოვ ყოველივე კეთილის გამრავლებას ჩემს სამშობლოში. მოგვეც ძალა წინ აღვუდგეთ ურწმუნოს. მოგვეც ერთობა, რომ არ გავიპნეთ სხვებში. უფალო, შენი მადლით დაიცავი მსოფლიოში გაპნეული ქართული გენი გადაშენებისგან. მოგვეცი ძალა გავძლიერდეთ ერთიანობით. ამინ!"

თამაზ საჯაია



სენაკის საპატიო მოქალაქის წოდების მონიჭება ჩემთვის მოულოდნელი იყო. იდგე იმ ადამიანების გვერდით, ვინც თავისი მოღვაწეობით უკვე დაიმსახურა ეს ტიტული, დიდი პასუხისმგებლობაა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სენაკის საზოგადოებას ამ დიდი დაფასებისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა სენაკელს, საქართველოს ყველა მოქალაქეს მინდა მივულოცო დამდეგი ახალი წელი. ეს წელი ყოფილიყოს როგორც ყოველი ოჯახისათვის, ასევე ქვეყნისათვის პრობლემების გადაჭრის წელი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სულის მხნეობას. ხვავი და ბარაქა თითოეული ქართველის ოჯახში.

სენაკზე მზრუნველებში

ლეილა ჭანტურია

ადამიანები შრომისა და შემოქმედებისათვის არის მოვლენილი ამ ქვეყნად. არანაირი შრომა სათაკილო არ არის. არა აქვს მნიშვნელობა დამლაგებელი ხარ, ექიმი თუ ინჟინერი, მთავარია შენს საქმეს აკეთებდე კეთილსინდისიერად და ხარისხიანად. ძალიან გამახარა იმ ფაქტმა, რომ ჩემი მრავალწლიანი, მუხლჩაუხრელი შრომა შეაფასეს და სენაკზე მზრუნველის ტიტული მომანიჭეს.

იწურება 2017 წელი. ძველ წელს ცუდი ამბები გავატანოთ და ახალ 2018 წელს საუკეთესოს მოლოდინით შევეგებოთ! დაე, ეს წელი ყოფილიყოს საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერების წელიწადი და ყველა ქართველის სამშობლოში დაბრუნების დაწყების წელიწადი!!!

დემურ ფაცურია

2017 წლის 24 სექტემბერი ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი დღეა. ეგრისობის სახალხო დღესასწაულზე მომანიჭეს სენაკზე მზრუნველის ტიტული. დავრწმუნდი, რომ უბრალო ადამიანის შრომა დაფასებულია. სტიმული მომეცა იმისა, რომ თავდაუზოგავად, მეტი მონდომებით ვიშრომო და ვიზრუნო ჩემი ქალაქის სისუფთავისა და სიალამაზისთვის.

მინდა მთელ საქართველოს, სენაკელებს, ჩემი ოჯახის წევრებს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი, ბარაქა და ხვავი იყოს თითოეული ქართველის ოჯახში.

ლონდიკო ფირცხალავა

ეგრისობის დღესასწაულზე მერამდენე წელია ირჩევენ სენაკის საპატიო მოქალაქეებს, წელს კი დაწესდა სენაკზე მზრუნველის ტიტული. როცა სხვებთან ერთად ჩემი სახელი და გვარიც გამოაცხადეს და სცენაზე მიმიწვიეს, ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დავიბენი კიდეც. ასეთი ბედნიერი წუთები ცხოვრებაში ალბათ არც მქონია. ძალიან სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ გაფასებენ. მადლობა მინდა გადავუხადო ხელმძღვანელობას ჩვენი შრომის შეფასებისა და დაჯილდოებისათვის.

ძვირფასო სენაკელებო, გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს და გისურვებთ რომ 2018 წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დატვირთული წელი.

ხანა მაზრაშვილი

ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში გადავწყვიტე, რომ ჩემი ცხოვრების კრედო სიკეთის კეთება და გაჭირვებულისთვის დახმარების ხელის გაწვდენა იქნებოდა. მას შემდეგ, უფლისა და დედა ღვთიმშობლის შეწევნით, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვცდილობ კეთილი საქმეები ვაკეთო უანგაროდ, უშურველად, ჩუმად, კრძალვით. მინდა მადლიერება გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლთაც გადაწყვიტეს ჩემთვის სენაკზე მზრუნველის ტიტული მოენიჭებინათ. მერქვას „სენაკზე მზრუნველი" უდიდესი პატივი და სასიამოვნო ჯილდოა.

ყოველი ახალი წლის დადგომას იმედი, უკეთესი ცხოვრების სურვილი ახლავს თან. მე და ჩემი ოჯახი ამაღლებული განწყობილებით ველოდებით შობის ბრწყინვალე დღესასწაულის შემობრძანებას. რამდენიმე წელია შობის აღნიშვნის ტრადიცია გვაქვს დამკვიდრებული. ვამზადებთ პატარა ხონჩებს, სადაც ნუგბარ-ტკბილეულს ვათავსებთ და გამთენიისას, საზეიმო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ვურიგებთ ტაძარში შეკრებილ მრევლს. უდიდესი სიამოვნებაა, მათი ბედნიერი სახეების ხილვა. შობის ღამეს საოცარი მადლი ტრიალებს თეკლათის დედათა მონასტრის ეზოში. მაქვს პატივი თქვენი გაზეთის საშუალებით მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი ჩემს სენაკელებს. ღვთის წყალობა, სიუხვე, სითბო და სიყვარული არ მოჰკლებოდეს თქვენს კერას. იხარეთ, იმრავლეთ, მრავალჟამიერ!

მოამზადა მ. გერგაიამ

დიმიტრი (დიმა) ჯაიანი

სრულიად საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და რა თქმა უნდა მშობლიურმა სენაკმა დიდი დანაკლისი განიცადა ნიჭიერი კაცის, სამშობლოსთვის გულანთებული პატრიოტის დიმიტრი ჯაიანის გარდაცვალებით.

დიმა ჯაიანი დაიბადა 1950 წელს ქ. სენაკში დაამთავრა სენაკის №1 საშუალო სკოლა. 1973 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობით. იმავე წელს იწყებს მუშაობას სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობად, შემდეგ წლებში იმავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა.

ნიჭიერ მსახიობს სპექტაკლებში განსახიერებული აქვს როლები„მეფე გიორგი"(დიდოსტატის მარჯვენა), „მეფე ჰონ-ჰოკონები"-ბრძოლა ტახტისათვის, „ელიზბარ ერისთავი"(გ. ბათიაშვილის 1832). დიმა ჯაიანს გადაღებულია ფილმებში „პირველი მერცხალი", „ოგარიოვის 6"„ ვინ არის მეოთხე", „სტალინის დაკრძალვა", „ანარეკლი", „ანგელოზების გადაფრენა". მონაწილეობდა სხვადასხვა ტელესერიალებში.

დიმიტრი ჯაიანი გახლდათ თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, 1998 წელს დაჯილდოებულ იქნა ღირსების ორდენით, 1989 წელს მიენიჭა საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტის წოდება, დ. ჯაიანი იყო კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შერვაშიძის პრემიების ლაურეატი, სენაკის საპატიო მოქალაქე.

გამორჩეულად უყვარდა მშობლიური სენაკი. აქტიურად მონაწილეობდა რაიონში, შემდეგ მუნიციპალიტეტში ჩატარებული სახალხო დღესასწაულებსა და კულტურულ ღონისძიებებში.

მეგობრული კონტაქტები ჰქონდა გაზეთ „კოლხეთის" ყოფილ რედაქტორთან და აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ყოფილ დირექტორთან, აწ განსვენებულ თამაზ კანკიასთან, გაზეთ „კოლხეთის" რედაქციასთან.

არქივში ინახება კეთილი სურვილებით აღსავსე ბარათები. ხშირად ეხმიანებოდა ტელეფონით ბატონ თამაზს. მისი ოცნება აფხაზეთში დაბრუნება იყო. ცრემლმორეული იგონებდა სოხუმში გატარებულ წლებს „ო. აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ..." მის ბუბუნა ხმა ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალიდან წვდებოდა სამურზაყანოს, ოდიშ-აფხაზეთს.

2013 წლიდან დიმიტრი ჯაიანი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის მინისტრად მუშაობდა.

დეკემბრის სუსხიან დღეს გარდაიცვალა. ნაადრევად წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. დიდია დანაკლისი, როგორც თეატრალური საზოგადოებისათვის, ისე მისი მშობლიური ქალაქისათვის.

ნათელი მის სულს!

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

„პატივი იც დედაენასა შენსა" (ნ. მარი)

ჩვენთვის, ჭეშმარიტ ქართველთათვის, რაოდენ აღმაფრთოვანებელი და საამაყოა ასეთი ინფორმაციები:

• „ილარიონ ქართველის ცხოვრების" მონათხრობით, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ მაკედონელმა თურმე თავისი შვილების აღზრდა ქართველ მასწავლებლებს მიანდო და დაავალა: „ასწავლეთ წიგნი და ენა თქვენიო" (ა. ბარამიძე, ჩვენი დიდი მეცნიერი, თბ., 1979, გვ. 41).

ის, რომ ქართული ენა დიდად შეაფასა იმპერატორმა, ჩვენი ღრმა რწმენით, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რაც არცაა გასაკვირი, რამეთუ: ქართული წერილობითი ძეგლები (ქართული ანბანით) ქრისტიანულ მწიგნობრობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე გვქონდა. ამიტომ (და სხვა გარემოებათა გამოც!) ქართულ ენას შეიძლება საპატიო ადგილი დავუმკვიდროთ საერთაშორისო ენათა, განსაკუთრებით ინგლისური ენის, გვერდით; ინგლისური კი დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე უპირატესი ენაა, რომლის წერილობითი ძეგლები (ლათინური ანბანით. ინგლისური ანბანი ანბანთა სისტემაში არ ჩანს) VIIს.-ს განეკუთვნება (ვრცლად იხ.: შ. ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, თბ., გვ. 82; მისივე, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 105; გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991, გვ. 263; ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბ., 1972, გვ. 298).

• კირიონ II (საძაგლი'შვილი) – პატრიარქი, ღვთისმეტყველების კანდიდატი და ბიბლიის ტექსტის დამდგენი კომიტეტის თავმჯდომარე – ბრძანებდა: „დედაენა (მხედველობაში აქვს ქართული – ჯ.ს.) არის უფლის კურთხევით ჩვენს წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი. დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა – ფრიად ძნელი. მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზე ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნესა და ჩვევას."

დავსძენთ: ერთმნიშვნელობიანად ძალგვიძს ვთქვათ, რომ ქართული როგორც რელიგიურად, ისე ლინგვისტიკურადაც მსოფლიო ენათაგან გამორჩეული და წარმოუდგენლად უპირატესია (ვრცლად იხ. ჟ. სორდია, „ღმერთშემოსილი სასწაულთმოქმედი დედაენა ქართული" წიგნში: (ჟ. სორდია, ი. სორდია, სასულიერო – ლინგვისტიკურ – პედაგოგიკური ნარკვევები, ქუთაისი, 2017, გვ. 37-52).

აღნიშნულის უფრო ძლიერად (და შთამაგონებლად) წარმოჩენის მიზნით მოვიხმობთ ასეთ ვრცელ ციტატას: „. . . გიორგი მერჩულე, ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. ნინო (მოციქულთა სწორი), წმ. მამები (წმ. ისააკ ასური, წმ. ანტონი დიდი, წმ. იოანე კლემაქსი. . .) გამოირჩეოდნენ აზრტევადი და ექსპრესიული ძალის მქონე ბრძნული მეტყველებით. მათს გამომსახველობით (ემოციურად) გადმოცემულ ბიბლიურ თხრობას უდიდესი შემეცნებით–გამოყენებითი ღირებულება ჰქონდა, რამეთუ ისინი უმაღლესი დონის მეტყველებით ცნობიერებაზე ახდენდნენ ძლიერ ფსიქოლოგიურ (ძალგვიძს ასედაც ვთქვათ: „ესთეტიკურ-ფსიქოლოგიურ") ზემოქმედებას იმ მხრივ, რომ განწყობას, აზროვნებასა და ყურადღების, ინტერესებს, მისწრაფება – მიდრეკილებებსა და ხასიათს, აღქმას. . . წარმართავდნენ ქრისტეს სიყვარულისა და მის უზენაეს ზოგადსაკაცობრიო იდეათა შემეცნების დაუოკებელი წყურვილით. ქრისტეს სიყვარული კი მართლმადიდებლისათვის ფსიქოლოგიურ-სოციალური ცხოვრების სასიცოცხლო ენერგია და კანონზომიერებაა. ამიტომ ასეთი მაღალი დონის სამქადაგებლო შემოქმედებას ძალუძს საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, მიზანმიმართული სასულიერო და საერო ზნეობრივ-მორალური აღზრდა მისცეს. ამდენად, დახვეწილი სტილით (მოხდენილი წიაღსვლებით, რიტორიკული შეკითხვებით, შეძახებებითა და მიმართვებით (როგორც აზრისათვის დინამიკურობის მისაცემად მოხდენილ სტილურ საშუალებებს), ინვერსიული წყობით, განსაზღვრებებით, მყარი შესიტყვებებით, შეკუმშული სინტაქსური კონსტრუქციებითა და ჟღერადი (კეთილხმოვანი) გაბმული მეტყველებით გადმოცემული კლასიკური სამქადაგებლო შემოქმედება საეკლესიო-სასულიერო და საერო-საზოგადო ინტერესთა ურთიერთშერწყმის ქვაკუთხედია, რაც ჰაერივით სჭირდება ჩვენს დემოკრატიის მშენებარე ქვეყანას.

მჭევრმეტყველებას უდიდესი ლინგვისტიკური და ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური ღირებულება აქვს იმ მხრივაც, რომ წირვისას მრევლი ძალდაუტანებლად სწვდება და ექვემდებარება სამქადაგებლო აზრთა სიღრმეს" (ჟ. სორდია, საუბრები საღმრთო ისტორიისა და ქართველური ენების საჭირბოროტო საკითხებზე, ქუთაისი, 2012, გვ. 90-91).

• განსაკუთრებით აღვნიშნავთ: ხალხის გამაერთიანებელი, ახალგაზრდა თაობის განმანათლებელი, სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი სისტემის განმამტკიცებელი. . . სარწმუნოებასთან ერთად ენაა (ერთიანი სალიტერატურო ენა). ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ერის ბედი დედაენის ბედთანაა დაკავშირებული, რამეთუ ენა არის ხალხთა ურთიერთდამაკავშირებელი ქვაკუთხედი" (ჟ. სორდია, საუბრები საღმრთო ისტორიისა და ქართველური ენების საჭირბოროტო საკითხებზე, ქუთაისი, 2012, გვ.8).

• გრ. ორბელიანმა ბრძანა: „რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს. . .
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას. . ."

• წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) ასეთი მრავლისმეტყველი ფორმულით დაგვმოძღვრა: „მამული, ენა, სარწმუნოება." და კიდევ: დიდი ილია ბრძანებდა: „ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისაგან, ენას უნდა ვულოლიავოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს. ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს ბოძი გამოვაცალეთ. . . მაშინ ჭერი ჩამოგვენგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს და ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება, განიავდება დედამიწის ზურგზე" (ი. მანსვეტაშვილი, ფესვები: ჟურნ. „დროშის ბიბლიოთეკა", წიგნი III, თბ., 1987, გვ. 36).

• „ენა. . . ცოცხალი ორგანიზმია. იგი თხოულობს მუდმივ ზრდას, განვითარებას. შეაჩერეთ მისი ზრდა და იგი დაჟანგებას იწყებს, უკან-უკან წავა, გაღატაკდება, დაჭკნება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემოქმედ ერსაც" (ი. გოგებაშვილი).

შენიშვნა: სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც ჩვენი გამოჩენილი ლინგვისტების, ისე უცხოელი ქართველოლოგების მონოგრაფიებზე მწირი ინფორმაციებიც კი ვერ წარმოვადგინეთ (წერილის მოცულობის განსაზღვრულობის გამო!).

დიახ! ეს ასეა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მიუხედავად სპეციალისტთა მრავალგზის ცდისა, ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად შეინიშნება ასეთი ენობრივი (თუ სხვა სახის) დარღვევები (მრავალთაგან წარმოვადგენთ რამდენიმეს):

1. ჩვენს რაიონში, სენაკში, გავრცელებული უსწორო სიტყვებისა და სიტყვა-გამოთქმების კვალდაკვალ. დ. აღმაშენებლის (დავით აღმაშენებლის) ქუჩა, გ. ბრწყინვალის (გიორგი ბრწყინვალის) ქუჩა, შ.პ.ს. (შპს, რომელსაც სამწუხაროს ასე ამბობენ: „შე პე სე". უნდა გვახსოვდეს, რომ ზეპირი მეტყველებისას შემოკლებულად დაწერილი სიტყვები სრულად უნდა ვთქვათ), ხილ-ბოსტანი (ხილ-ბოსტნეული), ს.პ.ს. (სპს), მეორადი (მეორეული), სენა აგრო სერვისი (სენაკის აგროსერვისი), ნოქალაქევი (ნაქალაქევი), ლობიანი (ლობიოიანი) ხაჭაპური, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო (სარეკონსტრუქციო//სარესტავრაციო. მაგრამ სჯობს ქართ. აღდგენითი) სამუშაოები, სტილისტი (გვაქვს მეტყველების სტილი. სამწუხაროდ, საპარიკმახეროს აბრები „დამშვენებულია" ასეთი გამონათქვამით: „გვჭირდება სტილისტი"), კორექცია (შესწორება, გასწორება. ბ-ნ პარიკმახერსაც ასე რომ ებრძანა, კარგი იქნებოდა), გიდი (ექსკურსიამძღოლი), მენეჯერი (უფროსი, პატრონი), ვეტ აფთიაქი//ვეტ-აფთიაქი (ვეტაფთიაქი), ეპილაცია (თმის მოშორება//თმის მოცილება). . .

ერთ-ერთი ბანერი „დამშვენებულია" ასეთი უსწორო ფრაზით:

„საქართველოში მოველ და
საქართველო ვნახე
დიდი საქართველო" (ილია).

სტილი დაცულია.

„სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე" (ასევე ბრძანა ილიამ).

შენიშვნა: 1. ჩვენდა სამწუხაროდ, აიტაცეს ასეთი უსწორო გამონათქვამი: „სასჯელაღსრულების (სასჯელმოხდის//სასჯელის მოხდის) დაწესებულება.

2. ხაზგასმული სიტყვები უსწოროა, ფრჩხილებში ჩასმული კი – სწორი.

3. სიტყვებსა და სიტყვა-გამოთქმებს კომენტარები არ ახლავს (წერილის მოცულობის განსაზღვრულობის გამო).

4. შემოკლებულად დაწერილი სიტყვები სრულად უნდა ვთქვათ.

2. ქართულში გავრცელებული უცხოური ლექსიკური ერთეულები. „თუ ენაში მოიძებნება ან შეიძლება ვაწარმოოთ ენაში არსებულ სიტყვათაგან უცხოური სიტყვით გამოხატული ცნების აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ სესხება გაუმართლებელია" (ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბ., ნაწ. I, 1981, გვ. 38). მაგრამ წარმოუდგენელი სიხშირით არასაჭიროებისამებრ (განუკითხავად!) ლომური რიხით შემოაქვთ უცხოური ლექსიკური ერთეულები. ასე, მაგ. (წარმოვადგენთ მრავალთაგან რამდენიმეს): ლეგიტიმური (ქართ. კანონიერი, ნებადართული), კომუნიკაცია (ქართ. ურთიერთობა), შანსი (ქართ. შესაძლებლობა), შოუ (ქართ. წარმოდგენა), კონფიდენციალური (საიდუმლო), კონტაქტი (ქართ. კავშირი//ურთიერთობა), ტრენინგი (ქართ. წვრთნა, წვრთნის რეჟიმი), მენეჯმენტი (წარმოების მმართველი), ბრავო! (ქართ. ვაშა!), კურიერი (ქართ. შიკრიკი), შეფი (ქართ. ხელმძღვანელი), პარალიზი (ქართ. შიკრიკი), პარალიზი (ქართ. დამბლა), კორპორაცია (გაერთიანება), სარისკო (ქართ. სახიფათო), სამიტი (ქართ. შეხვედრა//შეკრება), ბერკეტი (აქ: ქართ. საფუძველი//საბუთი), რაგულაცია (ქართ. მოწესრიგება//მოგვარება), სკანდალი (ქართ. აურზაური. აყალმაყალი), ინოვაცია (ქართ. სიახლე), ეპილეფსია (ქართ. ბნედა)

შენიშვნა: მოგვყირჭდა (ტვინი გაგვიხვრიტა!), ბატონო, მავანთა და მავანთა მიერ (შეგნებულად არ ვასახელებთ პიროვნებას!), დღენიადაგ (ყოველდღე ყოველ წუთს!) „რაკურსის" ძახილი (ისიც მიზანმიუმართავად, გაუცნობიერებლად).

ვფიქრობთ, უპრიანი იქნება ენის „რეფორმატორებს" მოკრძალებით შევახსენოთ, რომ ფრანგ. „რაკურსის" ქართული შესატყვისია „შეკვეცა"//„შემოკლება" (ვრცლად იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მიხეილ ჭაბაშვილი, თბ., 1973, გვ. 345.).

* * *

ჩვენი წუხილი მავანთა და მავანთ უსაფუძვლოდ (ტვინის აკვიატებულ ჭყლეტად) თუ მოეჩვენებათ, მაშინ მოკრძალებით ვურჩევთ მათ, რომ გაეცნონ სათანადო ლიტერატურას.

და კიდევ: გაითვალისწინონ, რომ გაცილებით ადვილია ავიცილოთ შეცდომების წარმოშობა, ვიდრე აღმოვფხრათ ცნობიერებაში გამჯდარი დარღვევები.

პროფ. ჟორა სორდია.

სს „არქეოპოლისი"–2017

მიზანი –მაღალი სტანდარტებით დაგებული გზა

საქართველოში აღიარებული მეწარმის, ქველმოქმედისა და მეცნიერის დემურ გადელიას უნარიანი და ბრძნული ხელმძღვანელობით სს „არქეოპოლისი" ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი და კონკურენტუნარიანი კორპორაციაა საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოების შესრულების მდიდარი გამოცდილებითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით.

კომპანიას,როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტენდერებში გამარჯვებულსა და ძირითად კონტრაქტორს შესრულებული აქვს საავტომობილო გზების, ხიდების, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მთელი კასკადი, უახლესი ტექნოლოგიებისა და სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად და ყოველწლიურად დამსახურებულ ადგილს იკავებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პრესტიჟულ „თეთრ სიაში".

საწარმოს ქვედანაყოფები, საამქროები, სამშენებლო ობიქტები დაკომპლექტებულია გამოცდილი, პროფესიონალი მუშაკებით, რომელთა რაოდენობა შეადგენს სულ 500-მდე კაცს, მათი გამომუშავება თვეში 500-დან 1500 ლარამდე აღწევს..

სამუშაოთა მოცულობით, ფინანსური ბრუნვითა და სტაბილური შედეგებით „არქეოპოლისი" ერთ-ერთი მსხვილი და კეთილსინდისიერი გადამხდელია. მას სოლიდური თანხები შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში.

კოლექტივმა, როგორც ყოველთვის წელსაც ენერგიულად იშრომა,წარმატებით შეასრულა პროექტით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ტენდერით მოგებულ საავტომობილო გზებზე. კერძოდ:

-სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დონებ-

ში(4,3 კმ)

-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვედა მესხეთი-ფარცხანაყანებში(6,4 კმ)

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ასკანა-მშვიდობაური - ბახვში (7 კმ)

-მარტვილის მუნიციპალიტეტის ქალაქის ქუჩებში(1 კმ), სოფელ კურზუს-დღვანას უბანში(1,5 კმ) სოფელ სალხინოს –წაჩხურუს უბანში წმინდა გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი გზა(1,7 კმ) აქვე წყალსადენის აღდგენა, გურძემის საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზა(2,7 კმ).

-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოლაში(3,2კმ)

-ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: კონტუათი, კუხი, გოჩაჯიხაიში(2,3 კმ), ქალაქის ქუჩებში: ჯორჯიაშვილის, გორგასალის, პ. კაკაბაძის, გ. ჭანტურიას, დ. გურამიშვილის, დ. კაკაბაძის,რუსთაველის, რ. შამათავას, გოგებაშვილის, პუშკინის(6,2 კმ)

-აბაშის მუნიციპალიტეტის - სოფელ წყემი(5,3 კმ), ზანათი (2 კმ) თხმელარი (2 კმ), გაზათი, საგვაზაო, მარანი, ქოლობანი, ზანათი, მაცხოვართკარი, კოდორი (15 კმ) 9 დასახელების საქალაქო ქუჩა (8,5 კმ).

სს „არქოპოლისმა" და მისმა კოლექტივმა განსაკუთრებული მონდომება და ძალისხმევა ჩააქსოვა სენაკის მუნიციპალიტეტში ტენდერებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. დამთავრდა ნოქალაქევი-ლეძაძამე დიდი ჭყონის ს/გზის კმ-1-კმ7 მონაკვეთის ე.წ. მიკოტახილის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მნახველის მოწონებას იმსახურებს.

ხელოვნური ნაგებობებისა და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები ჩატარდა ქალაქის 12 ქუჩაზე(4,6 კმ) სანაიას, ნუცუბიძის, გურამიშვილის, შონიას, კიკვიძის, ნიკოლაძის, ზუგდიდის, თ.დავითაიას, ნ. ვაჩნაძის, ხურციას, ზ. ნაფეტვარიძის, თბილისის), მოეწყო მოედნის ასფალტირება თეფანიას და არჩაიას ქუჩის გადაკვეთაზე. ასევე ჩატარდა ქალაქის ცენტრალური ქუჩების მონაკვეთების რეაბილიტაცია, ორმოულების შეკეთება.

ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგო ნოსირის,ფოცხოს, ხორშის, ზანის, თეკლათის, მენჯისა და ეკის თემში.

მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში დაიწყო და მაღალ დონეზე შესრულდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ -313- კმ 318 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხობის ტერიტორიაზე.

სულ 2017 წელს სს „არქეოპოლისის" ძალებით ასფალტო ბეტონის საფარი დაიგო 90 კმ-ზე და შესრულებულია 15 მილიონამდე ლარის სამუშაოები.

უნდა ითქვას,რომ სამუშაოები ტარდებოდა მოქმედი სამშენებლო ნორმების სტანდარტების და უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა შესაბამისად კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში.

გარდა სამეურნეო საქმიანობისა საწარმო ეწევა ფართომასშტაბიან ქველმოქმედებას,რაც ბატონ დემურ გადელიას სისხლხორცეული საქმე და მოღვაწეობის მთავარი მიმართულებაა, რაზედაც მეტყველებს მიღებული მადლობის წერილები, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და სატელევიზიო გადაცემები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას,რომ „არქეოპოლისელთა" მუშაობით და ნახელავით აღფრთოვანებუ-

ლია მოსახლეობა და მადლობას უხდიან მშენებლებს, სპეციალისტებს, ხელმძღვანელებს.

ამ მადლობის თანამონაწილეა ყველა ის, ვინც თავდაუზოგავად და კეთილსინდისიერად მუშაობს. ასეთები კი ბევრია. მათ შორის ქების ღირსნი არიან ასფალტო –ბეტონის ქარხნის მთავარი მექანიკოსი-დევი კალანდარიშვილი,მექანიკოსი კახა კვირკველია,ოპერატორები-თენგიზ ოდიშარია,მუშა ბუხუტი კუპრეიშვილი რომლებიც სხვა სპეციალისტებთან ერთად ენერგიას არ იშურებენ ქარხნის გამართული მუშაობისა და ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

საწარმოო დავალებების შესრულებას პასუხისმგებლობით ეკიდებიან ტექნიკურ ნაგებობათა პოლიგონსა და ქვის სამტვრევ საამქროებში(მენეჯერი ს. შარტავა) ელშემდუღებლები-ძმები: ზურიკო და ავთანდილ ჩალიგავები, შოთა მაისურაძე, დურმიშხან მელქაძე, გია ადამია. ხარატი გოდერძი ყალიჩავა, ქვის სამტვრევი საამქროს ოპერატორები: ლაშა ნადარეიშვილი, აკაკი სიგუა, ასფალტო-ბეტონის ბრიგადის წევრები:

დამგები მექანიზმის ოპერატორები: მანუჩარ ბჟალავა, რამაზ ცხადაია.

დამტკეპნი მექანიზმის ოპერატორები: რამაზ ნაჭყებია, ვალიკო მხეიძე, ლეონტი ცხვიტავა.

მუშები: ბაგრატ პირტახია,ანზორ ცხადაია,იაგო ბჟალავა, დათო გოგუა.

ხელოვნურ ნაგებობებზე მომუშავენი: ხვიჩა სანაია, გოპალი ჯანაშია.

მშენებლები: კორნელი კუპრეიშვილი,ჯამბული გოგია, დათო კვატიძე.

მძღოლები: იანგულ ბახტაძე, თენგო გულუა, გენო ოჩიგავა, გია ჯალაღონია, რამაზ სახოკია, მამუკა ჩიქობავა, თენგიზ შამათავა, ზაზა კილასონია, გია კოკაია, ბესო ყურაშვილი, ბუთხუზ ჩვამანია, იგორ ჩიჩუა, სურაჯი გოგია. მექანიზატორები: ზვიად ჩალიგავა, მამუკა შაფათავა, გაიოზ გოგია, მანუჩარ ადამია, ბიჭუნა გაგუა და სხვები.

თავიანთ სამოქმედო უბნებში მონდომებით იღვწიან გზის მშენებლობის ოსტატები: გივი ბჟალავა, ხვიჩა ჩალიგავა, ბეჟან მარკოზია. მთავარი მექანიკოსი ელვარდ გვაძაბია, მექანიკოსი რამინ სიმონია, რომელთა ძალისხმევით ობიექტებზე მიმაგრებული მანქანა –მექანიზმები მუშაობენ ტექნიკურად და გამართულ მდგომარეობაში და უსაფრთხოდ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო სამუშაოების მიმდინარეობისადმი საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს მთავარი ინჟინერი ომეხ ყურაშვილი, რომელიც მონდომებასა და გამოცდილებას არ იშურებს სამუშაოების მაღალ ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის.

აღსანიშნავია საწარმოს დირექციის: დირექტორი ნუგზარ ჩვამანია, ადმინისტრაციის ცალკეული სამსახურების: ტრანსპორტის ლევან ჭანტურია, ტექნიკური განყოფილების ლოვარ ლაშქარავა, პაატა გვასალია, აღმრიცხველ-ოპერატორი ალიკა ბარკალაია, ბუღალტერიის თანამშრომლები: ეკა ჯაჯანიძე, ნუნუ ჩიქობავა, ნანა გახოკია. კადრების სპეციალისტის ეკა ლოლუას ნაყოფიერი საქმიანობა საწარმოს სრულყოფილი და რიტმული მუშაობისათვის.

აი, ამ შრომისმოყვარე კოლექტივში აღამებს და ათენებს ბატონი დემურ გადელია და თანაგუნდელებთან ერთად მტკიცედ სჯერა, რომ ერთობლივი, თავდადებული საქმიანობით მომავალში უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის განვითარების საქმეში.

სს „არქეპოლისი" კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, ლამაზი სკვერებითა და საახალწლო ფოიერვერკებით დამშვენებული აბარებს ესტაფეტას დამდეგ 2018 წელს.

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ ჩვენს სახელოვან მეგზევეებს და მათ ხელმძღვანელს ბატონ დემურ გადელიას. ბატონ დემურის პროფესიონალიზმს და ქველმოქმედებას ჟურნალისტური ფერ-უმარილი არ სჭირდება, ის წარმოჩენილია „თავისი საქმეებით", ვუსურვებთ ფეხბედნიერ შობა-ახალ წელს და წარმატებულ დღეებს.

მ. კობალაძე

ჩარსულისა და აწმყოს რაკურსით

ჩვენს ლამაზ კოლხურ ქალაქში არაერთი ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე დაიბადა და აღიზარდა. დღეს ისინი, სენაკს გარეთ მოღვაწეობენ და თავისი პროფესიული საქმიანობით, მოქალაქეობრივი მრწამსით აშენებენ ქვეყნის მომავალს.

დღევანდელი ნომრის სტუმარს, ბატონ ვაჟა დანელიას არაერთხელ გამოუქვეყნებია ჩვენს გაზეთში თავისი არაჩვეულებრივი ლექსები და ჩანახატები, მაგრამ ამჯერად მინდა უფრო დაწვრილებით გვესაუბროს თავის აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

ბატონი ვაჟა დაიბადა 1952 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. დაამთავრა ძველი სენაკის საშუალო სკოლა, შემდეგ - ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიისა და თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტები. 1981 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ენის სწავლების მეთოდიკაში კითხულობდა ლექციებს, ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია. ქვემო ქართლში, ჯავახეთის რეგიონსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ასწავლიდა ქართულ ენას, 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ორმოცდახუთი წელიწადია, ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. წლების განმავლობაში იყო ჟურნალ „საქართველოს ტელეკომუნიკაციის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, „დილის გაზეთის“ სპორტის განყოფილების რედაქტორი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ლელოს“ სპორტული მიმომხილველი, ჟურნალ „საჭადრაკო სამყაროს“ რედაქტორი.

ვაჟა დანელიას გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა („შემოდგომიდან გაზაფხულამდე“) და თხზულებათა („გვედრებ, უფალო“!) თითო კრებული, ასევე, 14 წიგნი სპორტის თემაზე,მათგან სამი - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კონკურსის გამარჯვებულია. 2002 წელს სეოკ-მა წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად დაასახელა, 2004 წელს მივლინებით იმყოფებოდა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე; დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ნოდარ გუგუშვილისა და სერგეი მესხის სახელობის პრემიებით, 2014 წელს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, 2017

წელს კი საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები მიენიჭა.

გთავაზობთ ინტერვიუს:

ბატონო ვაჟა, ყოველი ადამიანი ქვეცნობიერად ყმაწვილობისდროინდელ ალაგსა და ხილვებს ესათუთება; როგორია თქვენს წარმოსახვაში ოდაბადე?

-ბავშვობისას საბანაოდ რომ მივდიოდით, ბებიაც მოგვყვებოდა - პატარებს არაფერი დაუშავდეთო. მდინარეს რომ მივუახლოვდებოდით, ნახე, ჩვენი ტეხურა როგორ მიხარხაცებსო (მიკისკისებსო), მეტყოდა მეგრულად. მეც არერთხელ მიმიყურადებია, განსაკუთრებით - ღამღამობით. როცა სოფელში ჩქამიც კი მიწყდებოდა, აივნის კუთხეში მიდგმულ გრძელ ტახტზე წამოვწვებოდი და სულგანაბული ვუსმენდი მდინარის კარკაცს - მოწიფული გოგონები ჭორაობენ და სიცილით იგუდებიანო, გეგონებოდათ. და ეს ტკრციალი არასდროს ჰგავდა ერთიმეორეს. დღესაც, საკუთარ თავთან მარტო რომ ვრჩები, ჩემი ტეხურას ხარხაცი და ღვარღვაცი ჩამესმის, ჩემი სახლ-კარის სურათს დავცქერი. გრძნობას, გონებასა და ოცნებას სწორედ ისინი მისაზრდოებენ.

ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც თქვენს მეხსიერებაში რიდის, მოწიწების გრძნობებით დარჩნენ?

-უპირველესად, მშობლები, დღესაც რომ ზეციური საქართველოდან მინათებენ გზას. ასევე, საშუალო და უმაღლესი სკოლების პედაგოგები, რომლებმაც ცხოვრების საგზლით მომამარაგეს. ყველას ვერ ჩამოვთვლი, რადგან ისინი ბევრნი არიან, მხოლოდ ვერა მასწავლებელს გავიხსენებ, ქალბატონ ვერა გუდავას, რომელმაც „დედა ენით“ ამადგმევინა ფეხი და დღემდე მისით ვდგავარ მყარად მიწაზე.

ბატონო ვაჟა თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, უშუალო კონტაქტი გაქვთ სტუდენტებთან, ახალგაზრდობასთან, რა არის საჭირო საიმისოდ, რომ ახალგაზრდობამ შეისისხლხორცოს და განაგრძოს ქართული ტრადიციები, შეინარჩუნოს სულიერი და ზნეობრივი ღირებულებები?

- ბოლო წლებში ყველა, განსაკუთრებით - ახალგაზრდობა, მხოლოდ უფლებებზე ლაპარაკობს, მოვალეობამ უკანა პლანზე გადაიწია. არადა, მათი დაშორიშორება საზოგადოებაში დისბალანსს იწვევს. სათუთად აღარ ვეპყრობით ეროვნულ ღირებულებებს. სასკოლო სახელმძღვანელოებში მოგვიმრავლდა უცხოური წეს-ჩვეულებებით გაჟღენთილი ნაწარმოებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ზოგიერთები „ზემო ეშელონებშიც“ აქილიკებენ ქართულ ადათ-წესებს. რამდენიმე წლის წინათ დავწერე ნოველა „ტრადიციის ძალა“, რომელშიც ნამდვილი ამბავია მოთხრობილი, ანუ ქართულმა სადღეგრძელომ 12-წლიანი განშორების შემდეგ გერმანელი კაცი როგორ დაუბრუნა მშობლებს. ოღონდ, ყველგან და ყველაფერში ზომიერება გვმართებს. „მამული, ენა, სარწმუნოების“ სიყვარულით უნდა განიმსჭვალოს



მომავალი თაობა. რამდენიც უნდა გვიკიჟინონ მავანთ, გლობალიზაციის ხანაში რა დროს პატრიოტიზმიაო, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვაჟა-ფშაველას გენიალური ნაწარმოები „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“: ვისაც საკუთარი დედის შეყვარება არ შეუძლია, ის სხვის დედას ვერ შეიყვარებს, სწორედ, რომ პატრიოტია ყველაზე დიდი კოსმოპოლიტი. პატრიოტიზმი კი, მოგეხსენებათ, უპირველესად, საკუთარი მიწა-წყლის, ეროვნული ღირებულებების სიყვარულს ნიშნავს და ჩვენი მომავალიც ამ ღირებულებებით უნდა გავზარდოთ.

რომელი წელი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამორჩეული თქვენთვის?

-წელი კი არა, ყოველი დღე მნიშვნელოვანი და გამორჩეული თუ არ არის, ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენი ხდება. ამ მრავალფეროვნებიდან ზოგი რამ დღესაც მახსოვს, ზოგს დავიწყების მტვერი დაედო, ორი თარიღი კი ჩემი მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება და ორივე მწუხარებას უკავშირდება: 1980 წლის მაისის ბოლოს, როცა უმაღლეს სასწავლებელს ვამთავრებდი, მამა ტრაგიკულად დამეღუპა, წლეულს კი, ასევე, მაისის მიწურულს დედა გარდამეცვალა. თუმცა ისინი დღემდე ჩემ გვერდით არიან. ლამაზი, შრომისმოყვარე მშობლები მყავდა და ახლაც მათ გაკვალულ ბილიკებს მივყვები.

თქვენ პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ჟურნალისტიკაშიც მოღვაწეობთ, არაერთი წიგნის ავტორი ხართ. ახლო მომავალში ახალი წიგნის გამოცემას ხომ არ აპირებთ, რომელიც სენაკთან იქნება დაკავშირებული?

-სპორტის თემაზე 14 წიგნს შორის ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სენაკი - ჩემპიონთა საბუდარი“, რომელშიც მშობლიური რაიონის სპორტის

ასწლიანი ისტორიაა აღწერილი. ამ წიგნის იდეა სენაკის მკვიდრს, საუკეთესო თვისებებით შემკულ ადამიანს - ბატონ ანზორ ცაგურიას ეკუთვნის, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისას სენაკური სპორტის წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის და დღესაც სპორტს ემსახურება. სწორედ მან შეაგროვა მისხალ-მისხალ მასალები, შემდეგ კი ერთობლივი თანამშრომლობით შეიქმნა ეს წიგნი. გაისად მე და ბატონი ანზორი, ასევე, ერთობლივად ვაპირებთ ახალი წიგნის გამოცემას სენაკის საპატიო მოქალაქეებზე, რომლებმაც რაიონის კეთილდეობისთვის დიდი ხარკი გაიღეს და დღესაც მისი ღირსების სადარაჯოზე დგანან.

იცხოვრებდით თუ არა საზღვარგარეთ შესაძლებლობის შემთხვევაში?

-საიდუმლოს გავამხელ - წლების წინათ ჩემი სტუდენტი იყავით, ჩემს დადებით და უარყოფით მხარეებს კარგად იცნობთ. ამიტომ ტყუილის თქმის უფლებას, ალბათ, არ მომცემთ: ჩემი ბუნების ადამიანი უცხოობაში ვერ გაძლებს. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, საბჭოურ ჯარში მხედრული ვალის მოხდისას, კიევის სამხედრო ოლქის გაზეთში ვთანამშრომლოდი. რედაქციამ სამხედრო ჟურნალისტიკაზე სწავლის გაგრძელება შემომთავაზა. უარი ვუთხარი - სამშობლოსგან შორს საბჭოეთის მაწანწალა ვერ გავხდებოდი. ოცი წლის წინათ ერთმა ახლობელმა ამერიკაში წავიდეთო, მითხრა. მაშინ ოკეანის გაღმა გამგზავრება, მით უმეტეს - ჟურნალისტისთვის, რთული არ იყო. უარი ვთქვი, ის კი დღესაც იქ ცხოვრობს. ყველანი რომ წავიდეთ, ვის ვუტოვებთ მშობლიურ მიწას? ისედაც,,,ქართველი ქართველს ვერ ჰგუობს, სახლს გვართმევს გადამთიელი“. ამაზეც უნდა დავფიქრდეთ!

ბატონო ვაჟა, როგორც სენაკელი, რას უსურვებდით საახალწლოდ ჩვენი ქალაქის, თქვენი მშობლიური სოფლის მოსახლეობას და საერთოდ, ქართველ ერს?

-საუკუნეების განმავლობაში ჩვენი მამა-პაპანი „დილა მშვიდობისათი“ ესალმებოდნენ ერთმანეთს, რადგან უცხო ტომელთა შემოსევებით თავგაბეზრებული ქართველი კაცისთვის მშვიდობიანი დილა ყოველთვის იყო სანატრელი და უპირველესი საზრუნავი. ახლაც ასეა. საახალწლოდ ჩემი სოფლისა და რაიონის მოსახლეობას, თითოეულ ოჯახს, სრულიად საქართველოს მშვიდობას, ხვავს და ბარაქას ვუსურვებ, რომ უცხოეთისკენ არ გვეჭიროს თვალი და გეზი.

ძალიან საამაყო და სასიხარულოა, როცა ისეთ პატარა რაიონში, როგორიც სენაკია გვყავს ამდენი საამაყო და ღირსეული ადამიანი და მათ შორის ერთ-ერთი ღირსეულთაგანი ვაჟა დანელიაა.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ბატონი ვაჟა არის ჩემი, და არა მარტო ჩემი საყვარელი ლექტორი, რომელთანაც მაკავშირებს სტუდენტობის ექვსი ძალიან ლამაზი და საინტერესო წელი. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მეგობრული და თბილი დამოკიდებულებით სტუდენტებთან. უშუალო, თავმდაბალი, უსაზღვროდ მოყვარული ქართული ენისა და ლიტერატურის, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია ბატონი ვაჟას ლექციას დამერწმუნება, რომ მისი ლექციები ყოველთვის იყო ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი თავის მრავალფეროვნებით და თხრობის საინტერესო სტილით.

მე ამაყი ვარ, რომ მომეცა შანსი ბატონი ვაჟა ყოფილიყო ჩემი რესპოდენტი და თუნდაც ის, რომ კიდევ ერთხელ მესმინა მისი ძალიან საინტერესო ნააზრევისთვის.

ბატონ ვაჟას რედაქციის სახელით ვულოცავ დამდეგ ახალ წელს ვუსურვებ ჯანმრთელობასა და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებებს.

მარიკა მიქაბერიძე

შპს სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება-2017

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მომსახურება

ჯანმრთელობის დაცვა მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. დამერწმუნებით რთულია ნდობა, როცა საქმე ჯანმრთელობას ეხება და არ იცი როგორ განვითარდება შემდგომ მოვლენები, ან რა გელის. ამიტომ აუცილებელია დარწმუნებული ვიყოთ ჩვენს არჩევანში.

ძალიან მნიშვნელოვანია და მისასალმებელია, რომ რაიონში არსებობს სამდიცინო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას ემსახურება სრულყოფილად და ამავდროულად ეს მომსახურება ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა ფენისთვის. სწორედ ამ თემაზე დღეს ჩვენი გაზეთის რესპოდენტია დიდი ტრადიციების მქონე სამედიცინო დაწესებულების შ.პ.ს. სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი ბატონი მურმან ბოჯგუა.

მურმან ბოჯგუას ნაამბობიდან:

შ.პ.ს. სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება ფუნქციონირებს 22 წელია - 1995 წლიდან.

დაწესებულების ყველა ექიმი არის სერტიფიცირებული და მაღალი კვალიფიკაციის. (ჩვენი და მეზობელი რაიონების მოსახლეობას ემსახურება 60 ადამიანი).

დაწესებულებაში მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა, რომლის თანახმადაც მიზნობრივი ჯგუფის (ქალი 0-60წ. კაცი 0-65წ. საპენსიო ასაკი) და ასაკობრივი ჯგუფის (მკვეთრად გამოხატული შშმპ, სტუდენტი, საპენსიო ასაკი, მკვეთრად გამოხატული შშმპ და საპენსიო ასაკის ვეტერანი) ბენეფიციარების გეგმიური ამბულატორიული და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან 100%-ით, ხოლო პირები რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში" და მინიჭებული აქვთ 70000-დან 100000 სარეიტინგო ქულა და 6-დან 17 წლის ჩათვლით პირებს ოჯახის ექიმის მომსახურება, ექიმის დანიშნულებით: ეკგ, სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, პროთრომბინის დრო, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან 100%-ით. ოჯახის ექიმის დანიშნულებით ენდოკრინოლოგის, კარდიოლოგის, უროლოგის, ნევროლოგის, გინეკოლოგის, ოფთალმოლოგის, ოტორინოლარინგოლოგის, ქირურგის მომსახურებას და ღვიძლის ფუნქციური სინჯებს:AALT, AAST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურ სინჯს: TSH, საჭმლის მომნელებელი სისტემის, შარდსასქესო სისტემის და მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპიას, გულ-მკერდის რენტგენოსკოპია-რენტგენოგრაფიას, ძვლების რენტგენოგრაფიას სახელმწიფო აფინანსებს 70%-ით, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება ფინანსდება 100%-ით სახელმწიფოს მხრიდან. პირებს, რომელთაც თვიური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვთ სახელმწიფო უფინანსებს სამედიცინო მომსახურებას სწორედ იმ პრინციპით, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ბენეფიციარებს, გარდა გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისა, სადაც ბენეფიციარმა უნდა გადაიხადოს მომსახურების 50%. სახელმწიფო არ აფინანსებს ტრავმატოლოგის, რევმატოლოგის, ნეფროლოგის, დერმატო-ვენეროლოგის, ონკოლოგის, პედიატრის მომსახურებას, მაგრამ მივიღე გადაწყვეტილება, მათაც ისე გაუწიონ ზემოთ ჩამოთვლილ ბენეფიციარებს სამედიცინო მომსახურება, როგორც სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ექიმ-სპეციალისტებმა, სწორედ ეს არის ჩვენი უპირატესობა სხვა სამედიცინო დაწესებულებებთან შედარებით, ჩვენ ამით ვზარალდებით, მაგრამ საამაყო და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ 1 ბენეფიციარი მაინც იტყვის მადლობას და სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილი დატოვებს ჩვენს დაწესებულებას.

შ.პ.ს. სენაკის ა/პ გაერთიანება ემსახურება როგორც სენაკის, ასევე მეზობელი რაიონების მოსახლეობას შიდა სტანდარტით, პაციენტებს სამედიცინო მომსხურებას უწევს 25 პროფესიონალი ექიმ - სპეციალისტი. ჩვენთან დაზღვეულია 13000-მდე ბენეფიციარი. 2017 წელს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწია 3000 ბენეფიციარს, ხოლო დაწესებულებამ 2017 წელს სამედიცინო დახმარება როგორც შიდა სტანდარტით, ასევე საყოველთაო დაზღვევით გაუწია 16250 ბენეფიციარს.

2017 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს ბენეფიციარების ხელახალი რეგისტრაცია და მივმართავ მათ გაიარონ შ.პ.ს. სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში რეგისტრაცია და ისინი მიიღებენ ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას.

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნებს. დაწესებულებას გააჩნია SAMSUNG- ის მარკის ექოსკოპიის უახლესი აპარატი (გადმოგვეცა ჯანდაცვის სამინისტროს და სენაკის გამგეობის მიერ), უახლესი ელკარდიოგრაფი SMART ECG, ნებულაიზერი OMOMRON C28, სხვადასხვა პოლიკლინიკური ნაკრები, ხელშეკრულება დადებული გვაქვს რენტგენოლოგიურ მომსახურებაზე და კლინიკო - დიაგნოსტიკურ ლაბორატორიასთან, რომელიც აღჭურვილია უახლესი თანამედროვე აპარატურები 2017 წელს შევიძინეთ პაციენტის დაკვირვების მონიტორი-Contec,CMS8000 და სასწორი სიმაღლის მზომით.

ჩვენს დაწესებულებაში არის იმის საშუალება, რომ პაციენტმა ჩაიტაროს სრული ექოსკოპიური, რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევა.

2017 წელი წარმატებული იყო შ.პ.ს. სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებისათვის, პირველ რიგში იმიტომ, რომ ნაციონალური ბიზნეს - რეიტინგების კავშირის მიერ ჩატარებულ რანჟირებაში ჩვენმა საწარმომ უკვე მეოთხედ მიიღო რეიტინგი ოქრო საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ - სამეურნეო საქმიანობის მიხედვით „დაქირავებულთა რაოდენობა" და რეიტინგი ოქრო სამეგრელო - ზ/სვანეთის ტოპ 10-ლიდერი საწარმო კრიტერიუმით „დაქირავებულთა რაოდენობა".

2017 წელს მოხდა ტენდერის ფარგლებში დაწესებულების უზრუნველყოფა ცენტრალური გათბობით, ასევე უახლოეს დღეებში ისიც ტენდერის ფარგლებში მოხდება დაწესებულების ძველი კარ-ფანჯრების შეცვლა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით.

2018 წელს დაგეგმილი გვაქვს სარემონტო სამუშაოების ჩატარება იმ ექიმთა კაბინეტებში, სადაც არ ჩატარებულა რემონტი.

ჩემი საახლწლო სურვილია, რომ საქართველოს მოსახლეობა იყოს ჯანმრთელი, ბედნიერი, დასაქმებული, ვუსურვებ მათ მატერიალურ წინსვლას და წარმატებულ ცხოვრებას. ვიმედოვნებ, რომ როგორც 2013 წლიდან მოყოლებული საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამამ ძალიან ბევრი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა. ასევე გაგრძელდება ეს პროგრამა მომავალშიც და ადამიანს არ ექნება შიში ავადმყოფობის. (დიდი მადლობა ამისთვის ჩვენს მთავრობას).

ჩვენ, ექიმთა საზოგადოება მზად ვართ ჩვენს მოქალაქეებს მივაწოდოთ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.

ექიმობა ესაა პროფესია, რომელიც მოითხოვს დაუღალავ შრომას, ახალი ინფორმაციისა და კვლევების შესწავლას, გულისხმიერებას პაციენტისადმი, მისი პრობლემის გათავისებას და კიდევ მრავალ ადამიანურ კომპონენტს. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ეს ძალიან რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა. ამიტომ მნიშვნელოვანია სამედიცინო დაწესებულებას ჰყვდეს ასეთი თვისებების მქონე ექიმთა ჯგუფი. ბატონი მურმანი სწორედ ასეთ მაღალკვალიფიციური და გულისხმიერი მედპერსონალით მოსახლეობას ჰპირდება მაღალი სტანდარტებითა და უახლესი სადიაგნოსტიკო აპარატურით მომსახურებას.

შ.პ.ს სენაკის ამბულატორულ-პოლიკლინიკურ გაერთიანების ხელმძღვანელს და მედ. პერსონალს ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ წარმატებულ საქმიანობას და მადლიერი პაციენტების სიმრავლეს.

მარიკა შამათავა

მისწრაფებების, იდეალების თანხვედრა

ოჯახი თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრების მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია, ის გარემოა, სადაც ადამიანები ურთიერთობის გარკვეულ წესებს აყალიბებენ, სივრცეა, სადაც ადამიანი ყველაზე თავისუფლად გრძნობს თავს, მაგრამ ამავე დროს მხოლოდ საცხოვრებელი ერთეული კი არ არის, არამედ ოჯახი მორალზე დამყარებული ერთობა, სადაც ზნეობრივ თვალსაზრისზე დაყრდნობით ყალიბდება მისი წევრების თვითიდენტიფიკაცია. ოჯახი არის სიმყუდროვე, სითბო, სიყვარული, ერთმანეთის გვერდში დგომა.

სიყვარული მარადისობასთან წილნაყარი ღირებულებაა, შეიძლება ითქვას ღვთიური მადლით ძალმოსილი და მისი გაქრობა, გადაშენება დედამიწის ზურგზე არანაირ ძალას არ შეუძლია, „თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ". სწორედ სიყვარულის ყოვლისშემძლეობამ „აპოვნინა" ერთმანეთი ადა ხარებავასა და გიორგი ლაშქარავას. სიყვარულის, ინტერესების, მისწრაფებების, იდეალების თანხვედრა კი გახდა ოჯახის შექმნის საფუძველი.

ადა სს საქართველოს ბანკის მოლარე –ოპერატორია, გიორგი კი ამავე ბანკის ექსპრეს მოლარე-ოპერატორი.

ახალგაზრდებმა ჯვარი დაიწერეს სენაკში. მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში მისცეს ერთმანეთს, ერთგულების ფიცი, ტაძრის მოძღვარმა კი ღვთის წყალობა და შვილთა სიმრავლე უსურვა ჯვარდაწერილთ.

მათმა ქორწინებამ დიდი სიხარული მოუტანა მშობლებს: ეკა ნარმანიასა და თენგო ხარბედიას, ქეთევან დავითაიასა და პაატა ლაშქარავას, მეგობრებს, ახლობლებს.

ახალდაქორწინებულებს ვულოცავთ ბედნიერებას და კარზე მომდგარ შობა-ახალ წელს. ვუსურვებთ სიხარულს, აკვნის სიმრავლეს. ხვავი, ბარაქა დაბედეობოდეთ!

უფალმა ქორწილები და ძეობები უმრავლოს ჩვენს ქალაქს!

მ.შონია

„საქართველო ღირსეულ გვართა და პიროვნებათა ქვეყანაა..."

ერთობისა და ქართული სულის ზეიმისათვის

ყოველი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მის ზნეობრივ და სულიერ სრულყოფაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაბადების ადგილი. ჩვენი ნომრის სტუმარი მიხეილ(კახა) კვირკველია სენაკელია. დაიბადა 1971 წელს, დაამთავრა სენაკის №7 საშუალო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1996 წლიდან დღემდე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

ბატონი კახა ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცია. მეუღლე თამარ კიკალეიშვილი იურისტია. ჰყავს სამი შვილი ქეთევანი, ნათია, გიორგი. ქეთევანი ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტია, ნათია შსს-ს თანამშრომელი, გიორგი თბილისის № 23 საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა. შვილიშვილი მარიამ დათაშვილი 2 წლისაა.

კახა კვირკველია ინიციატორი გახლდათ კვირკველიების გვარის შეკრება-შეხვედრისა, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ჩვენ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ბატონ კახას, ისიც სიამოვნებით დაგვეთანხმა.

გთავაზობთ ინტერვიუს სენაკელ მიხეილ(კახა) კვირკველიასთან.

ბატონო კახა, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია კვირკველიების გვარის წარმომადგენლების შეკრება–შეხვედრამ სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიაში, თქვენ როგორ შეაფასებთ ამ მნიშვნელოვან მოვლენას და სხვა გვარის წარმომადგენლებმა თუ მოგბაძეს?

მინდა საუბარი ჩემთვის მნიშვნელოვანი წმინდა ანთიმოზ ივერიელის სიტყვებით დავიწყო

„ღმერთო მომეცი ძალა მოვითმინო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია. ღმერთო მომეცი ძალა ვიბრძოლო იქ, სადაც რამის შეცვლა შემიძლია. ღმერთო მომეცი გონიერება,რათა შევძლო გავარჩიო სად ვიბრძოლო და სად მოვითმინო" ამინ!

კვირკველიების გვარის შეკრების ინიციატივა, რომელიც 2016 წელს ახალი ძალით გააქტიურდა ეკუთვნით სენაკელ კვირკველიებს,რომელიც ვფიქრობ მნიშვნელოვანია არამარტო კვირკველიების საგვარეულოსთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის. მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის, ერთობისა და უკეთესი მომავლისათვის ქართული ოჯახები უნდა გახდნენ თავიანთი ბედის,ქვეყნის უკეთესი მომავლის შემოქმედნი. საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებული ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო", კვირკველიების მოქმედება ეფუძნება უწმინდესი და უნეტარესის საქართველოს პატრიარქის ქადაგებებს, რომ მეტი სიყვარულითა და ერთობით შევძლოთ, ეკლესიის გარშემო გაერთიანება. შედეგის დასადებად საგვარეულომ დაიწყო მოქმედება და ვცდილობთ,გავხდეთ სხვებისთვის მისაბაძნი ერთობისთვის და ქართული სულის ზეიმისთვის. ამის მისაღწევად განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები ხეების, მაგნოლიების დარგვა ბათუმში, კვიპაროსების სენაკში დედათა მონასტერში, ღვთისმშობლის ტაძარში და ჩხოროწყუში ახალ მშენებარე, წმინდა გიორგის ტაძარში, რაც ხდებოდა ეკლესიასთან, ეპარქიასთან შეთანხმებით და მეუფე შიოს ლოცვა-კურთხევით. ყველა ამ შეხვედრებზე სრულდებოდა გვარის ერისა და საქართველოს გაძლიერებისთვის... ლოცვები უფლის სადიდებლად, ყველა შეკრებაზე გვარი სიამაყით ატარებდა და მას წინ მიუძღოდა საგვარეულო წმინდა ივლიტასა და კვირიკეს ხატი, სახელმწიფო და საგვარეულო დროშა, რაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი ბევრი სენაკელისთვის. გვქონდა გამოხმაურება სხვა გვარებიდანაც, რომ შეიკრას ქართული ოჯახების ერთობა და სამუდამოდ წერტილი დაესვას ძმათა შორის კონფლიქტს, დაპირისპირებას და შესაძლებელი გახდეს საერთო ენის პოვნა ქვეყნისა და სახელმწიფოს, უკეთესი მომავლისათვის. დავეხმაროთ სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფ ჩვენ გვარიშვილებს მეტი კონტაქტი ჰქონდეთ ქართულ საზოგადოებასთან და დავეხმაროთ მათ ამ მძიმე ტვირთის ტარებაში, რაც მათ რეგიონის მოსახლეობისა, თუ ერის წინაშე აკისრიათ, როგორ და რა რესურსს იპოვიან ამ მიზნით გაერთიანებისთვის სხვა გვარიშვილები წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, თქვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში ვახსენე, მინდა სენაკი გახდეს სიყვარულის თანადგომისა და ერთობის ქალაქი. იყოს ნება უფლისა. მჯერა როგორც სენაკელს, ერთად შევძლებთ ამ მეტად მნიშვნელოვან მოქმედებას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ და ამ ძალითა და მოქმედებით ვადიდებთ უფალს არამარტო რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც შევძლებთ სიყვარულის ქადაგებას. დიდება უფალს!

უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორეს სიტყვებით თუ ვიტყვით ქართველისათვის ამქვეყნიური სამება ენა მამული სარწმუნოებაა ამ სამების მასაზრდოებელია სახლიშვილობა, გვარიშვილობა...

უბრალოდ, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ პატრიარქის სიტყვები, რომელიც პირდაპირ მიგვანიშნებს გადარჩენისა და სიცოცხლის გზაზე. იმაზე რაც უფრო მეტად გვჭირდება და სადაა ჩვენი სისუსტეები,სადაა სიცოცხლის გზა?... გავიხსენებ სიტყვებს პატრიარქის ერთ- ერთი ქადაგებიდან მისი უწმინდესობა ამბობს, ჩვენ თანამედროვე ქართველებს უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს ვიდრე, ეს ჰქონდა ჩვენ წინაპრებს, მაგრამ მათ ჰქონდათ სიღრმისეული, განჭვრეტისა და ხედვის უნარი, აი რაზე მიგვანიშნებს პატრიარქი მოვუწოდებ ყველა ,ქართველს გულისყურით მოუსმინოთ პატრიარქის ქადაგებებს და აღვასრულოთ ცხოვრებაში. ვიცოდეთ წარსული, აწმყოსთან თანხვედრით და დედა ეკლესიასთან ერთობით. სიყვარულით, თანადგომით აუცილებლად იშობა ახალი სიცოცხლეში სიყვარულის პირმშო....

ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშობის წლებია პრაქტიკული ხედვებითა და იდუმალი ფიქრებით,როგორი იყო თქვენი ბავშვობა და აქედან შემორჩენილ რომელიმე დღეს ხომ ვერ გაიხსენებდით?

ბავშვობის წლები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რაშიც დიდ როლს თამაშობს ოჯახი, სკოლა პედაგოგები და სამეგობრო წრე გარემო, რომელთანაც მოზარდს უწევს შეხება, ვფიქრობ ამ კუთხით ძალიან გამიმართლა ვინაიდან მყავდა შესანიშნავი მშობლები და წინაპრები (რომლის ფუძის გამგრძელებელია ჩვენი ოჯახი), პედაგოგები, კლასელები და ჩემი სენაკი,გარემო,რომელთანაც მქონდა ყოველდღიური შეხება. რისთვისაც, მადლობა და სიყვარული მინდა ვუთხრა ყველას. მქონდა ბედნიერი ბავშობა და იმ დროისთვის არ არსებობდა ჩემთვის ბავშვისთვის აუსრულებელი ოცნება. გავიხსენებ ორ ეპიზოდს ჩემი ბავშობიდან რაც ვფიქრობ შეძლებისდაგვარად უპასუხებს თქვენ კითხვას, იდუმალებასა და პრაქტიკულ ხედვაზე. მოგეხსენებათ, რომ ჩემი ბავშობა არის საბჭოთა პერიოდის... ოთახში სადაც ვმეცადინეობდი მეკიდა იმ დროის მსოფლიო პოლიტიკური რუკა, სადაც საბჭოთა კავშირი გამოსახული იყო იმ დროის ტერიტორიებით და დიდებით. არ ვიცი რატომ ხდებოდა ეს, მაგრამ ვფიქრობ, შეუძლებელი იყო ესე მეფიქრა,მახსოვს როგორ დაჟინებით ვუყურებდი ამ რუკაზე გამოსახულ საქართველოს ტერიტორიებს და ვოცნებობდი მის სიძლიერესა და გავლენაზე მსოფლიოში. ეხლაც რომ ვიხსენებ მეღიმება, მაგრამ მიხარია რომ ასეთ სიყვარულს ვგრძნობდი ჩემი სამშობლოსადმი.

მეორე მომენტი იყო როცა დედაჩემი, თაფლო ძაგანია და მე თბილისის ძველ უბანში ვმოძრაობდით. დედას ვკითხე (ძველ კორპუსზე) და ნახევარ სარდაფზე მივანიშნე, -მანდ ხალხი ცხოვრობს? მან მითხრა -კი და, რომ გავიგე „იქ ქართველები ცხოვრობდნენ დავიწყე ბავშური ისტერიკა და ტირილი. დედამ გაბრაზებით შემანჯღრია და სულ ძალით ძალით გამიყვანა იმ ადგილიდან, რომ დროზე გავცლოდით.

ამბობენ ახალი წლის დამემ სურვილების ასრულება იცისო, რა არის სურვილი რომელსაც ინატრებდით?

პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ ახალი 2018 წლის დადგომა, თქვენ და მთლიანად „კოლხეთის" რედაქციას. გისურვოთ ჯანმრთელობა, სიყვარული და ბარაქა. მინდა მიულოცო, ასევე ყველა სენაკელს .... ქართულ ოჯახებსა და სრულიად, საქართველოს. ვისურვებდი ძლიერ ქართულ ოჯახებს. ერთობას და სიყვარულს,თანადგომით გაერთიანებულს, დედა ეკლესიის გარშემო. ვინაიდან,მიმაჩნია ქართული ოჯახების სიძლიერე, ქვეყნის აღმშენებლობაში აქტიური ჩართვა,განაპირობებს ძლიერ სახელმწიფოს და ბედნიერ მომავალს...

როგორი დამოკიდებულება გაქვთ 95 წლის გაზეთ „კოლხეთთან" და აპირებთ თუ არა მომავალში თანამშრომლობას რეგიონის ჟურნალისტებთან?

სასიხარულოა და პატივი, როგორც სენაკელისთვის, ურთიერთობა გაზეთ „კოლხეთთან", რომელსაც აქვს 95 წლიანი ისტორია, რომლის ფურცლები იყო ჩვენი რაიონის, ქვეყნის, ჩვენი თანაქალაქელების, ისტორიის ამსახველი. ის ამდენი წლის განმავლობაში იყო და არის დღესაც სენაკელთა სიტყვა და სარკე. მადლობა, მინდა გადავუხადო გაზეთის რედაქციას და მთლიან კოლექტივს. ჟურნალისტებს, რომელთა პონტენციალი... შესაძლებლობები აშკარად დიდია ახალი ჟურნალისტური, სიმაღლეების დასაპყრობად. მადლობა მინდა ვუთხრა ადგილობრივ ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომლის მხარდაჭერითაც შენარჩუნდა ეს სენაკელებისთვის, მეტად მნიშვნელოვანი გაზეთი. ყველანაირად ვეცდები ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთი „კოლხეთი", გაცდეს რეგიონის ფარგლებს და გახდეს ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის. მინდა პროფესიული წარმატება და ბედნიერი შობა-ახალი წელი გისურვოთ.

ბატონო კახა, მადლობას გიხდით გულწრფელი საუბრისათვის, გისურვებთ წარმატებულ ცხოვრებას. 2018 წელი ყოფილიყოს პირადად თქვენთვის და კვირკველიების გვარის ოჯახებისათვის ხვავის, ბარაქის, სიკეთისა და სიძლიერის მომტანი.

ესაუბრა მ. ეჯიბია